

თოქშოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

3 - 28 სექტემბერი 2012

თოქშოუების წინასაარჩევნო მონიტორინგი აკვირდება პრაიმტაიმის დროს გასულ ყველა თოქშოუს, რომელიც პოლიტიკურ თემებს ეძღვნება. ვინაიდან ყველა არხზე არ გადის ასეთი ტიპის გადაცემები დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი არხები და თოქშოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე - „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“;

მაესტროზე - „სუბეიქტური აზრი“, წამყვანები: შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე; „პოლიტმეტრი“ - ნინო ჟიჟილაშვილი; „არგუმენტები“ - თეა სიჭინავა და „ჩვენ“ - თამარ ჩიქოვანი;

კავკასიაზე - „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ალექსანდრე ელისაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მორიგეობით უძღვებიან ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი;

მეცხრე არხზე - „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქშოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს ხდება დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე სხვადასხვა კრიტიკულების მიხედვით. ფასდება გადაცემაში ჟურნალისტების როლი და ჩართულობა. ჟურნალისტი უბრალოდ მოდერატორია, რომელიც მართავს პროცესს, თუ ცდილობს თავისი პოზიციის დაფიქსირებას. რამდენად აცდის თოქშოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე, ხდება დაკვირვება, თუ რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ და რამდენად ცდილობს ჟურნალისტი სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას ჩამიების გზით. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქშოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას ჟურნალისტების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

ანგარიშში მოცემულია 3-28 სექტემბერს გასული გადაცემების ანალიზი არხების მიხედვით.

პირველი არხი

პირველ არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა ორი გადაცემა. ესენია: „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“. დავით პაიჭაძის გადაცემა კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და ხუთშაბათს გადის ეთერში, „აქცენტები“ კი, მხოლოდ კვირაში ერთხელ, ყოველ კვირა დღეს. მონიტორინგის პერიოდში ეკა კვესიტაძის თოქშოუს მხოლოდ 3 გადაცემა მოხვდა, „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ კი, 6-ჯერ გავიდა ეთერში.

ორივე გადაცემაში მოწვეული იყვენებ, როგორც მმართველი გუნდის წევრები, ასევე, ოპოზიციის წარმომადგნელები და ექსპერტები. ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. ცდილობენ ამომწურავი პასუხები მიიღონ დასმულ კითხვებზე და სტუმრებს აძლევენ საშუალებას ბოლომდე დააფიქსირონ თავისი აზრი.

დავით პაიჭაძის შემთხვევაში, ხშირად, ადვილი შესამჩნევია წამყვანის უფრო მეტად მომთხოვნი კითხვები, მეტი კრიტიკა და ხშირ შემთხვევაში ირონიაც კი, ისეთი სტუმრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ოპოზიციურ პარტიას ან ოპოზიციურად არიან განწყობილი ხელისუფლების მიმართ.

ასევე, ორივე ჟურნალისტის შემთხვევაში იყო მომენტები, როდესაც ისინი ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ პირად მოსაზრებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება უკა კვესიტაძეს, მონიტორინგის ამ პერიოდში სულ 3 გადაცემა მოხვდა, რაც არ გვაძლევს საშუალებას განვაზოგადოთ შედეგები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი გადაცემები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან მოწვეული სტუმრებისა და განსახილველი თემების მიხედვით. გადაცემაში, სადაც ბიძინა ივანიშვილი ჰყავდა სტუმრად, წამყვანი საკმაოდ მომთხოვნი და კრიტიკული იყო, სტუმარს მისი პოლიტიკური გუნდის ნაკლოვანებებზე უმახვილებდა ყურადღებას და არცერთი კითხვა დაუსვავს, რომელიც მისცემდა ივანიშვილს საშუალებას ესაუბრა პარტიის პოლიტიკურ პროგრამაზე. მაშინ როცა, გადაცემაში, სადაც განიხილავდნენ ციხეში პატმრების წამების ფაქტებს, კვესიტაძის დამოკიდებულება სტუმრების მიმართ საკმაოდ განსხვავებული იყო.

„დიალოგი დავით პაიჭაძესთან”

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე თოქშოუ „დიალოგი დავით პაიჭაძესთან” გადის კვირაში ორჯერ - ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს საღამოს 10 საათზე. გადაცემა ორ ბლოკად არის გაყოფილი და სტუდიაში ერთი, ორი ან, იშვიათად, სამი სტუმარი არის მიწვეული. მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) სულ 6 გადაცემა გავიდა. თოქშოუს ხანგრძლივობა, საშუალოდ ერთი საათია.

თემების თვალსაზრისით გადაცემები ისეთ აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა:

- არჩევნები და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები,
- შესაძლო რისკები არჩევნების დღეს,
- NDI-ის კვლევის შედეგები,
- ციხეში მომხდარი მოვლენები და პატიმართა წამება,
- საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეო გადაღების აკრძალვა და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში მოწვეულნი იყვნენ პოლიტიკური პარტიების წევრები, ექსპერტები, მთავრობის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (აკაკი მინაშვილი), ასევე კოალიცია ქართული ოცნება (ირაკლი ალასანია). თოქშოუს სტუმრობდა ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანიც, სოსო შატბერაშვილი. „დიალოგის“ სტუმრებს შორის იყვნენ ასევე: სასჯელაღსრულების მინისტრი გიორგი ტულუში, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცესკოს თავმჯდომარე (ზურაბ ხარატიშვილი), მედიის წარმომადგენლები და სხვა.

„დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ ერთი შეხედვით დაბალანსებულ თოქშოუდ შეიძლება ჩაითვალოს. გადაცემაში მოწვეული არიან, როგორც მმართველი გუნდის, ასევე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. წამყვანი მათ ხშირად უწევს ოპონირებას და ცდილობს საწინააღმდეგო აზრი დააფიქსიროს. მისი კითხვები უფრო მომთხოვნია სტუმრების მიმართ, ვიდრე ლმობიერი.

„ოთხი წლის წინ თქვენი პოლიტიკური გუნდის [სტუმარი აკაკი მინაშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა] სლოგანი იყო, სლოგანი და პროგრამის არსიც იმ 4 წლიანი პროგრამის რასაც პირდებოდით მოქალაქეებს, საქართველო სიღარიბის გარეშე. დღეს პოლიტიკოსები ნაციონალური მოძრაობიდან ხშირად იმეორებენ, რომ იციან რა გაჭირვებულია მოსახლეობა. 4 წელი გავიდა და პრობლემა დაძლეული არ არის. ვიღამ შეიძლება დაგიჯეროთ თქვენ ამის მერე?“ (27 სექტემბერი)

როდესაც ჟურნალისტი ვერ იღებს სიღრმისეულ ინფორმაციას ან სტუმრის საუბარი მისთვის გაუგებარია ემიება და ცდილობს დაზუსტებული და კონკრეტული პასუხები მიიღოს დასმულ კითხვებზე.

მაგალითად, 25 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრად იყო ლაშა ტუღუში და საუბრობდა კანონის ერთ-ერთ მუხლზე, რომლთან დაკავშირებითაც დიდი დისკუსიები იყო, პაიჭაძე გარკვეული დროის ინტერვალებით რამდენჯერმე ემიება მას, სანამ არ იღებს კონკრეტულ პასუხს: „რომელი?... „რომელი მუხლი, ლაშა, თქვით“.... „ეს არის სამუცნობიანი განტოლება, შინაარსი თქვით.“

როდესაც 4 სექტემბერს თემაზე: წინასაარჩევნო დარღვევები არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, სტუმრად იყვნენ თამარ ჩუგოშვილი (ახალგაზრდა

იურისტთა ასოციაცია) და ნინო ლომჯარია (სამართლიანი არჩევნები) წამყვანმა ასეთი კითხვა დასვა:

„ყოფილა შემთხვევები, როდესაც დადასტურებულა, რომ ეს მართლაც მოხდა პოლიტიკური ნიშნით [სამსახურებიდან ადამიანების გათავისუფლება]? სავარაუდოდ კი არა ნაღდად პოლიტიკური ნიშნით მოხდა და ვინც ამ ტიპის დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო მის მიმართ, როგორც იურისტები იტყვიან, სამართლიანობა აღდგა?“

თუმცა, აღსანიშნავია რომ სტუმრების პოლიტიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად წამყვანის დამოკიდებულებაც იცვლება. ეს ყველაზე კარგად მის კითხვებში, ირონიულ რეპლიკებსა და სტუმრისთვის აზრის დასრულების მიცემის საშუალებაში ვლინდება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 4 სექტემბრის გადაცემა, როდესაც სტუმარი იყო სოსო შატბერაშვილი, „ლეიბორისტული პარტიის“ გენერალური მდივანი, და 6 სექტემბრის გადაცემა, როდესაც სტუმარი იყო ირაკლი ალასანია, კოალიცია ქართული ოცნება/ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

ორივე შემთხვევაში უურნალისტის მხრიდან ხშირი იყო კრიტიკული კითხვები და ირონიული დამოკიდებულება სტუმრების მიმართ. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პაიჭაძე ოპონირებას კი არ უწევდა სტუმრებს, უბრალოდ მათ ოპოზიციურ მოსაზრებებს არ იზიარებდა და ხელისუფლების პოზიციას იცავდა. შესაბამისად ხშირად აფიქსირებდა საკუთარ მოსაზრებას.

მაგალითები:

4 სექტემბერი, სტუმარი სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტია:

„თქვენი საუბრის ამ ნაწილში თუ რამ კონკრეტული იყო, ეს იყო „ბადაგონის“ ხსენება, რომელიც დღეს არის წარმატებული კომპანია. და მე მახსოვს და ყველას ახსოვს ალბათ, იმ ღვინის დაღვრას მერე მოჰყვა პრემიერის ვიზიტი, რაღაცნაირი მობოდიშება და ამ კომპანიამ გააგძელა მოქმედება. რაც შეეხება „სონის“ გამოგდებას მისი ოფისიდან, ეს არ მოხდა. საბოლოოდ, საქართველოში, სონიმ დაიცვა თავისი ინტერესები, ეს მოახერხა. კიდევ რა ბრძანეთ დამავიწყდა, ხო, სახლი თაბუკაშვილზე. მე ვიბოდიშებ მისი მკვიდრების წინაშე თუ რამე მეშლება, მაგრამ, მე როგორც მახსოვს, მას შემდეგ, რაც მათ ეს სახლი დაუნგრიეს და გამოასახლეს ისინი, მათ შესთავაზეს, როგორც მახსოვს, ალტერნატიული კომპენსაცია ბინების სახით. და „შირნჰოფერიც“ მოქმედებს, რეკლამებიც გადის, პროდუქციასაც უშვებს და ყველაფერს.“

„ეხლა შეიძლება ვიღაცას, უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ვიღაცას შეიძლება ეცინებოდეს, რომ ამ სლოგანს განვიხილავთ სერიოზულად, მაგრამ განვიხილოთ და ვისაც უნდა გაიცინოს. თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში არსებობს ღარიბების ისეთი კრიტიკული მასა, ვისაც ეს სლოგანი ააღელვებს და თქვენი მხარდაჭერით მოინდომებს მდიდრების, ესე ვთქვათ, გაძარცვას?! თქვენ ამდენ ხმას მოგცემთ?!”

„მე, რომ გითხრათ, რომ ეს მეფიქრება, არა, მაგრამ ლოგიკურად ვუშვებ, რომ ამ სლოგანით - „მდიდარს წავართმევთ და ღარიბს დავუბრუნებთ“, ზოგს აცინებთ, ზოგსაც აშინებთ, რაც ამცირებს, სავარაუდოდ, თქვენს მხარდაჭერას.“

„თქვენ გადალახეთ წინა არჩევნებზე ბარიერი, გეკუთვნოდათ რამდენიმე ადგილი პარლამენტში, მიიღეთ კიდევ ეს ადგილი, მაგრამ პარლამენტში მუშაობა არ ისურვეთ. თუმცა, ხელფასს იღებდით და ბინის ქირასაც უხდიდნენ თქვენი პარტიის წევრს. როგორ გააქარწყლებთ მოქალაქეთა ეჭვს, რომელიც შეიძლება არსებობდეს, რომ თქვენი გამარჯვების შემთხვევაშიც, აი ამ ჯერზე, გამარჯვების, ან გნებავთ

ბარიერის გადალახვის შემთხვევაში არაფრის გამკეთებლები არ ხართ პარლამენტში ისევ და, ამდენად, თქვენთვის ხმის მიცემა არ ღირს? ეს ეჭვი შეიძლება იყოს.“

გადაცემაში სოსო შატბერაშვილმა თქვა, რომ საფრანგეთში მილიარდერებმა წამოაყენეს წინადადება იმის თაობაზე, რომ საგადასახადო დაბეგვრა მდიდრებს უფრო მეტი ჰქონდეთ ვიდრე ღარიბებს. ამაზე მას ურნალისტი ირონიულად ჩაეკითხა: „რომელმა მილიარდელმა? შეგიძლიათ ერთის გვარი მაინც თქვათ?“

როდესაც 6 სექტემბრის გადაცემაში სტუმრად იყო ირაკლი ალასანია, სურათი ასევე ტენდენციური იყო. გადაცემის ეს ნაწილი ცხარე დებატების ფონზე წარიმართა. წამყვანი ხშირად აწყვეტინებდა სტუმარს საუბარს, ხშირად ირაკლი ალასანია და დავით პაიჭაძე ერთხმადაც საუბრობდნენ. ურნალისტი სკეპტიკურად იყო განწყობილი ალასანიას მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ და ამას გამოხატავდა კიდეც. ხშირად ეს ირონიულ რეპლიკებშიც გამოიხატებოდა. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

როდესაც ირაკლი ალასანიამ შეფასება გაუკეთა თავის ოპონენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატს ზუგდიდში, როლანდ ახალაიას აზრს, რომ მისთვის „ქართული ოცნების კანდიდატი არ არის ოპონენტი. ეს ოპონენტი არის ქართველი ხალხი“ და თქვა, რომ ეს, ალბათ, ფროიდისეული წამოცდენა იყო ახალაიას მხრიდან, დავით პაიჭაძემ მას ირონიული ღიმილით უთხრა: „თქვენ კოალიციაში შესვლის შემდეგ გახდით ფსიქოანალიზის მიმდევარი, ბატონო ირაკლი, თუ რა არის?“

გადაცემის მსვლელობისას პაიჭაძე მიმართავს ირაკლი ალასანიას: „თქვენ ეხლა ნაციონალურ არხებს ახსენებთ. მე ეხლა ადვოკატობის ხასიათზე არ ვარ, მაგრამ მინდა დააზუსტოთ: თქვენ ამ არხზე, რომელზედაც ეხლა იმყოფებით, მიგაჩნიათ რომ იჩაგრებით?“

ირაკლი ალასანია გადაცემის ერთ მომენტში საუბრობდა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აფხაზეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ და დააფიქსირა საკუთარი ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს. პაიჭაძე ალასანიას ირონიულად ეძიება კითხვით: „და ესე მარტივად გამოუშვებენ რუსები ქართველებთან სალაპარაკოდ?”

აქ ირაკლი ალასანიამ სთხოვა უურნალისტს, რომ მიეცა მისთვის საშუალება დაემთავრებინა აზრი, თუმცა წამყვანი ისევ აგრძელებს: „თქვენ ბრძანდებით კოალიცია ქართული ოცნებიდან და როგორც ოცნება ოცნება, ეს შეიძლება მართლაც დაინახო, რომ დაელაპარაკებით აფხაზებს. მაგრამ ვინ უშვებს აფხაზებს თქვენთან სალაპარაკოდ? ვინ უშვებს აფხაზებს გადაწყვეტილების მისაღებად? დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მისაღებად?” ასეთ დებატებში ირაკლი ალასანია და დავით პაიჭაძე ხშირად შედიან ერთმანეთთან.

მიუხედავად ყველაფრისა უურნალისტის ქმედება კორექტულობის ფარგლებს არ გასცდენია.

„აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“

„აქცენტები“ ყოველკვირეული თოქშოუა, რომლის წამყვანიც ეკა კვესიტაძეა. გადაცემა გადის ყოველ კვირა დღეს, საღამოს 8 საათზე. „აქცენტებში“, ჩვეულებრივ, სტუდიაში ორი სტუმარია მოწვეული, ხდება სტუმრების სატელეფონო ან სხვა სტუდიიდან ჩართვაც. მონიტორინგის ამ პერიოდში გადაცემა საშუალოდ საათნახევარი გრძელდებოდა. 3-28 სექტემბრის ჩათვლით სულ სამი ასეთი გადაცემა გავიდა და შემდეგი თემები იქნა განხილული:

- სახელმწიფოს დაზღვევის პროგრამა,

- ლაფანყურის სპეცოპერაცია,
- ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკური გეგმები,
- პატიმრების წამება ციხეებში.

მონიტორინგის პერიოდში თოქშოუში მოწვეულნი იყვნენ კოალიცია ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები, ექსპერტები, მთავრობის წევრები, სტუდენტები, მედიის წარმომადგენლები და სხვა. აღსანიშნავია, რომ 16 სექტემბრის „აქცენტები“ მთლიანად ბიძინა ივანიშვილს და კოალიცია ქართული ოცნების გეგმებსა და მიზნებს მიემდვნა. გადაცემას ერთადერთი სტუმარი ჰყავდა, კოალიციის ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დაახლოებით 58 წუთის განმავლობაში ისაუბრა.

წამყვანი ცდილობდა ოპონირება გაეწია სტუმრისთვის, თუმცა ეს მცდელობა მომეტებული ჩანდა და მისი დიალოგი ივანიშვილთან, მირითადად შედარებით მეტად კრიტიკულ კითხვებსა და მათზე პასუხებს მოიცავდა. წამყვანი მთელი გადაცემის განმავლობაში საკმაოდ მწვავე შეკითხვებს უსვავდა სტუმარს. ხშირად ემიებოდა და მას თავისი პოლიტიკური გუნდის ნაკლოვანებებზე უმახვილებდა ყურადღებას. ჟურნალისტი ასევე ინტერესდებოდა და ეჭვი შექმნდა იმ ვადებში, რომლითაც, ივანიშვილის თქმით, იგი აპირებს ხელისუფლებაში დარჩენას.

„რის მიხედვით არჩევთ მაჟორიტარებს? რის მიხედვით აარჩიეთ ხაჭაპურიძე? ჯაჭვლიანი? რა დამსახურების მიხედვით აარჩიეთ იგივე ასლან აბაშიძის ყოფილი ჩინოვნიკები? რა დამსახურებით აარჩიეთ ადამიანები, რომლებიც ნინო ბურჯანაძესთან ერთად მის პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდნენ? ჯაჭვლიანი და კურტანიძე იყვნენ ნინო ბურჯანაძესთან... თქვენ თუ ნინო ბურჯანაძეზე უარს ამბობთ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მის თანაგუნდელებს რატომ არჩევთ?“

„.... და წელიწადნახევარში აპირებთ ამას?“

„ვინ იღებს პასუხისმგებლობას თქვენი პროგრამის შესრულებაზე? ამას ვინ გააკეთებს, ბატონო ბიძინა, ვინ გააკეთებს ამას? თქვენ ამბობთ, რომ წახვალთ პოლიტიკიდან, მაგრამ მთლიანად გააკონტროლებთ?“

როდესაც სტუმარი ოპონენტების ნაკლოვანებებზე იწყებს საუბარს, ჟურნალისტი მას ახსენებს: „მაშინ რატომ ბრაზდებით თქვენ ასე ძალიან იმ კრიტიკაზე, რომელიც თქვენს მიმართ ისმის? აი, ჩემზეც გაბრაზდით ერთხელ (იცინის). თქვენ ძალიან გაბრაზდით „პალიტრის“ ჟურნალისტზე, რომელმაც დასვა კითხვა, რომ თუ ბატონი ივანიშვილი ოცი წელი მოანდომებს დემოკრატიის აშენებას, და არა ორი წელი, როგორც ის თავიდან დაგვპირდა, მაშინ რას ვერჩით სააკაშვილს, რომელმაც იდეალური დემოკრატიის შექმნა ვერ მოახერხა რვა წელში?! ამას თქვენ დაახლოებით, ათი წუთი, თუ არ ვცდები, მიუძღვენით მეტრეველს ამის გამო მაესტროს ეთერში... მაშინ ვაჟბატონს ეძახდით (იცინის).“

აღსანიშნავია, რომ წამყვანს არცერთი კითხვა არ დაუსვავს სტუმრისთვის, რომელიც საშუალებას მისცემდა მას თავისი პოლიტიკური პარტიის პროგრამაზე ესაუბრა. ხშირი იყო მცდელობა მისი მხრიდან, რომ სტუმარს დაეფიქსირებინა კრიტიკული აზრი რუსეთის პრეზიდენტის მიმართ.

ეკა კვესიტამე:

- ბატონო ბიძინა, პუტინზე რას ფიქრობთ?
- მაგრამ, რას ფიქრობთ მასზე?
- ის უფრო დემოკრატი ლიდერია?

- კარგით, რამდენი ადამიანი მოკლეს ბოლო წლებში რუსეთში? რამდენი ჟურნალისტი მოკლეს? რამდენი ადვოკატი მოკლეს რუსეთში? რამდენი ოპოზიციური ტელევიზია მაუწყებლობს რუსეთში?
- მოდით, თავი დავანებოთ სააკაშვილს, პუტინი მაინტერესებს ამ შემთხვევაში, რამდენი ჟურნალისტი მოკვდა, რამდენი ადამიანი, რამდენი ადვოკატი მოკვდა?

რაც შეეხება ციხეებში წამების ფაქტებს, 23 სექტემბრის გადაცემა მთლიანად ამ თემას მიეძღვნა. ეს გადაცემა განსხვავებულ ფორმატში გავიდა. ახალი სტუდიიდან ეკა კვესიტაძე შეეცადა მაქსიმალურად გაეანალიზებინა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოები, რომლებიც გასულ კვირას გამოქვეყნდა და მის გარშემო განვითრებული მოვლენები. ამ ყველაფერზე სასაუბროდ კვესიტაძემ სხავდასხვა ბლოკებში 9 სტუმარი მოიწვია და მაქსიმალურად შეეცადა წარმომადგენლობითი ყოფილიყო, ანუ ორივე მხარეს მისცემოდა საშუალება პოზიცია დაეფიქსირებინა. საკმაოდ კრიტიკულ შეკითხვებს უსვავდა სტუმრებს, ყურადღებით უსმენდა მათ და საშუალებას აძლევდა აზრი დაეფიქსირებინათ. აწყვეტინებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სურდა, რომ სხვა სტუმრისთვისაც მიეცა აზრის დაფიქსირების საშუალება. ამასთან, ყველა სტუმარი თანაბარ მდგომარეობაში იყო. ჟურნალისტი გადამოწმებულ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებდა ინფორმაციას.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: გიორგი ტულუში (სასჯელალსრულების მინისტრი), კოალიცია ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წევრები, ექსპერტები, სახელიმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა.

გადაცემაში კვესიტაძე უფრო მეტად მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, პატრიარქის განცხადებასთან დაკავშირებით, ჟურნალისტმა თავისი მოსაზრებაც გამოთქვა:

„ხო, მაგრამ მას შეეძლო ეთქვა, რომ უბრალოდ დავმშვიდდეთ და ის ციტატები რა საჭირო იყო თქმა, რომ ხდება სხვა ქვეყანაში ესეთი, მაგრამ ეს უნდა მიიჩქმალოს?“

ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ საკმაოდ მომთხოვნი იყო და ძალიან კონკრეტული შეკითხვები ჰქონდა სტუმრებთან, რომლებზეც ამომწურავ პასუხს ელოდა. ნუკრი ქანთარიას (კოალიცია ქართული ოცნება) უსვავს ასეთ შეკითხვას:

„ისევე არის ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი, ცალსახაა ეს პასუხისმგებლობა, მაგრამ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება თუ არა, თქვენი აზრით სხვა ინსტიტუტებსაც, ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს? იმიტომ, რომ მღვდლები ძალიან ხშირად შედიოდნენ პატიმრებთან, მათ ექნებოდათ ინფორმაცია. შესაძლოა სასტიკი გაუპატიურების შესახებ ცნობები არ ქონდათ, მაგრამ ინფორმაცია, რომ იქ ხდებოდა სისასტიკე, დასჯა, არაადამიანური მოპყრობა. ამის შესახებ, ალბათ, სასულიერო პირებმაც, დიდი ვარაუდით იცოდნენ. იწვევს თუ არა ეს ეკლესიის, როგორ სოციალური ინსტიტუტის დისკრედიტაციას? როდესაც სწორედ მღვდლები არ გამოდიან ინიციატივით, რომ გამოაშვარავდეს ასეთი სისასტიკე?“

ეძიებოდა თითოეულ სტუმარს. მაგალითად გიგა ნასარიძეს, „საქართველო არ იყიდება“-ს წარმომადგენელს, როდესაც მან თქვა რომ ამ ყველაფერზე ხელისუფლების რეაგირება იყო ადეკვატური კვესიტაძემ ჰქითხა:

„რამდენად ეფექტურად იმუშავა ამ შემთხვევაში ისეთმა ინსტიტუტებმა როგორიც არის პარლამენტი? რომელსაც შეეძლო ძალიან ბევრი რამ გაეკეთებინა ამ მიმართულებით. ეს მის ფუნქციაში და მოვალეობაში შედის რომ გაეკონტროლებინა მთავრობა და პროკურატურა, რომელსაც უნდა გამოეძია კონკრეტული ფაქტები.“

გია ნოდიას: „ხშირად მომისმენია სხვებისგანაც, რომ ბევრს უჭირს იმის დაჯერება, რომ შეიძლება ვინმე მაღალჩინოსანმა პრეზიდენტის ჩათვლით იცოდა ამ სასტიკი მეთოდების შესახებ თუ როგორ უსწორდებოდნენ პატიმრებს. მაგრამ ის, რომ

პოლიტიკა არ იყო ჰუმანური საპატიმროებში ეს იყო ცხადი, იმიტომ რომ სხვა შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა რაღაცების შეცვლა. თუნდაც, კიდევ ერთხელ, მივუბრუნდები იმ ანგარიშებს, იმიტომ რომ, როგორც თქვენ ამბობთ, რომ შესაძლოა და ჩვენც გეთანხმებით ამაში ძალიან ხშირად ისმის არაკვალიფიციური კრიტიკა, დაუსაბუთებელი კრიტიკა ხელისუფლების მისამართით და ის ხშირად იყენებს ამას ყური მოუყრუოს კვალიფიციურ კრიტიკასაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ სახალხო დამცველის ძალიან კვალიფიციურ ანგარიშებზე. ეს ხო არ იყო მართლა მითქმა-მოთქმის და ჭორის დონეზე. ანუ თქვენი აზრით არსებობდა თუ არა პოლიტიკა, რომ ციხეში ნებისმიერ ფასად მოედრიკათ ქურდები და უკვე რა ფასი იყო ამას არავინ არ კითხულობდა?“

სტუდენტ ლევან ლორთქიფანიძეს: „ძალიან კარგად ვიცით, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა, რომ რაღაცნაირად პოლიტიკურად აქციოს ნებისმიერი მოძრაობა, მითუმეტეს როდესაც ახალგაზრდებს ეხება საქმე. და რადგან არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს თავისუფალი სოციალური პროტესტი ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენც გემუქრებათ ეს საფრთხე? ან რას გააკეთებთ იმისათვის, რომ დარჩეთ იმად როგორადაც დაიბადეთ, რადგან ეს ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.“

მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგი უკეთდება 4 თოქშოუს: „სუბიექტური აზრი“ - შალვა რამიშვილის და დიანა ტრაპაიძის ავტორობით, „პოლიტმეტრი“, რომელსაც ნინო უჯილაშვილი უძღვება, „არგუმენტები“ თეა სიჭინავასთან ერთად და „ჩვენ“, რომელიც თამარ ჩიქოვანს მიჰყავს. ჩამოთვლილთაგან პირველი სამი ყოველდღიურად გადის მაესტროს ეთერში. გადაცემა „ჩვენ“, კი მხოლოდ კვირაში ერთხელ.

„სუბიექტურ აზრში“ სტუმრად, ძირითადად, ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი სტუმრები არიან არჩეული. მოწვეულ სტუმრებს შორის თვალშისაცემი იყო ქართული ოცნების წევრების შედარებითი სიჭარბე. გადაცემის მსვლელობისას ორივე უურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. თუმცა, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად უურნალისტები კიდევ უფრო მეტად არიან გააქტიურებულები. თოქშოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არ მალავენ თავიანთ სუბიექტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას. შალვა რამიშვილი უფრო ხმირად და ღიად აფიქსირებს თავის პოლიტიკურ სიმპათიებს, დიანა ტრაპაიძე, კი შედარებით უფრო თავშეკავებულია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიკუთვნების სტუმრები გადაცემაში არათანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანების კრიტიკული დამოკიდებულება ამ მხრივ ტენდენციურია.

„პოლიტმეტრში“ მოინტორინგის პერიოდში ეთერი დაეთმო, როგორც ოპოზიციის სხვადასხვა წარმომადგენლებს, ასევე მმართველ გუნდს. აღსანიშნავია, რომ „სუბიექტური აზრისა“ და „არგუმენტებისგან“ განსხვავებით, პოლიტმეტრი ოპოზიციური სპექტრის მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. წამყვანი, უმეტესად, თანაბარი კრიტიკულობით გამოირჩევა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ. ცდილობს, თავად გაუწიოს ოპონირება გადაცემის

სტუმარს და მისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს. თუმცა, იშვიათად ის თავის პოზიციას ფარულად თუ გაკვრით მაინც აფიქსირებს. იქიდან გამომდინარე თუ ვინ არის გადაცემის სტუმარი და რა თემა განიხილება, უურნალისტის ქცვაც შესაბამისად იცვლება. წამყვანი მმართველი გუნდისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ უფრო კრიტიკულად არის განწყობილი. ამავდროულად, ის საკმაოდ ლოიალურია ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პატიმართა წამების ამსახველი კადრებისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრების საუბრების აუდიო ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ ვლინდება.

სექტემბერში „არგუმენტებთან“ ერთად ეთერში გავიდა განსხვავებული ფორმატის „კვირის არგუმენტები“, სადაც თითოეულ გადაცემაში მოწვეული იყვნენ ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და მთელი გადაცემა ეძღვნებოდა ამ პარტიას და მის პროგრამას. „არგუმენტებშიც“ და „კვირის არგუმენტებშიც“ სტუმრად მოწვეული იყვნენ როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წევრები. ფორმატის სხვაობასთან ერთად განსხვავებულია წამყვანის ქცვა „არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“. „არგუმენტებში“ თეა სიჭინავა მეტად უწევს ოპონირებას სტუმრებს, ხოლო „კვირის არგუმენტებში“ უფრო მოდერატორის როლს ასრულებს. თუმცა, ორივე ფორმატის გადაცემაში იგი აქტიურადაა ჩართული, სტუმრებს უსვავს აქტუალურ კითხვებს, რომლებიც უფრო ხშირად მომთხოვნია, ვიდრე ლომობიერი, და ასევე ხშირად ეძიება მათ ინფორმაციის დასაზუსტებლად. წამყვანის დამოკიდებულება პროსახელისუფლებო სტუმრებისადმი გამოირჩევა მეტი კრიტიკულობით. თეა სიჭინავა ღიად არასოდეს აფიქსირებს თავის პოზიციას, თუმცა დასმულ კითხვებში ზოგჯერ მისი პოზიცია ჩანს.

რაც შეეხება გადაცემას „ჩვენ“, მონიტორინგის პერიოდში სულ 3 გადაცემა გავიდა. გადაცემას კოალიცია ქართული ოცნების წევრები და იაგო კაჭკაჭიშვილი სტუმრობდნენ. გადაცემაში უურნალისტი და სტუმრები, მეტწილად, ერთსა და იმავე

პოზიციას იზიარებენ, რაც უმეტესად ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ურნალისტი ლმობიერია მათ მიმართ, არა აწყვეტინებს საუბარს, აცდის აზრის დასრულებას და იშვიათად ეძიება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც წამყვანი ღიად აფიქსირებს თავის აზრს სხავდასხვა თემებთან დაკავშირებით.

„სუბიექტური აზრი“

„სუბიექტური აზრი“ ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათსა და 5 წუთზე მაესტროს ეთერში. მისი წამყვანები არიან შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე. გადაცემა ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოწვეულია „თანაწამყვანი“ და გადაცემა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს. ხოლო, მეორე ნაწილში მოწვეულია სტუმარი, რომელიც უშუალოდ სტუდიაში ზის ან ხდება მისი პირდაპირი ჩართვა.

მონიტორინგის პერიოდში მაესტროზე „სუბიექტური აზრის“ სულ 20 გადაცემა გავიდა და თითოეული საშუალოდ 45 წუთი გაგრძელდა.

ამ პერიოდში გასული „სუბიექტური აზრი“-ს თემები შემდეგ საკითხებს ეხებოდა:

- არჩევნები (პოლიტიკური კამპანია, პიარ-ტექნოლოგიები),
- ლაფანყურის სპეციალისტია,
- NDI-ს კვლევები,
- კოალიცია ქართული ოცნება,
- პატიმართა წამება ციხეებში,
- სტუდენტური პროტესტი,

- საფრანგეთის მიერ ხელისუფლებისთვის გადაცემული კომპრომატები ხაინდრავას შესახებ,
- „ფორსას“ წვლება,
- ქართული ოცნების წევრების აუდიოჩანაწერები და სხვა.

18-24 სექტემბერს გასული გადაცემები ძირითადად ეხებოდა პატიმრების წამების ფაქტებს და მის შეფასებებს.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაცემის პირველ ნაწილში მოწვეულია „თანაწამყვანი“. იგი არა როგორც სტუმრის, არამედ წამყვანის სტატუსით სარგებლობს და საუბრობს გადაცემაში. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში გადაცემის თანაწამყვანად ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი სტუმრები არიან არჩეული. მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) ”თანაწამყვანები” იყვნენ: დავით ბუხრიკიძე (პუბლიცისტი/კრიტიკოსი), თინა ხიდაშელი (კოალიცია ქართული ოცნება), კახა კუკავა (თავისუფალი საქართველო), გია ხუხაშვილი (კოალიცია ქართული ოცნების მრჩეველი).

როგორც სტუმრები მოწვეულნი იყვნენ ძირითადად კოალიცია ქართული ოცნების წევრები, ერთხელ იყო მოწვეული ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების წევრი ფერია ანთია, საზოგადო მოღვაწეები, ექსპერტები, მედია წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სტუდენტები და სხვა.

თოქშოუ უფრო დიალოგის და დისკუსიის რეჟიმში მიდის. გადაცემის მსვლელობისას ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. თუმცა, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად ჟურნალისტები უფრო მეტად არიან გააქტიურებულები. გადაცემის მსვლელობისას შალვა რამიშვილი თითქმის არ სვავს კითხვებს, ეს ფუნქცია უფრო მეტად დიანა ტრაპაიძეს

აქვს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წამყვანები იშვიათად აანონსებენ გადაცემის თემას და საუბრისას საკმაოდ ბევრ საკითხს ეხებიან.

თოქშოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არ მალავენ თავიანთ სუბეიქტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას. მონიტორინგის პირველ ნაწილში (ივლისი, აგვისტო) შალვა რამიშვილი უფრო ხშირად აფიქსირებდა ღიად საკუთარ მოსაზრებებს და დიანა ტრაპაიძე თავს იკავებდა თავისი პოზიციის გამოხატვისგან და შედარებით პასიურ პოზიციაში იყო. მაგრამ სექტემბრის გადაცემებში უკვე იგრძნობა მისი გააქტიურებაც. როგორც საკუთარი მოსაზრებების გამოხატვით, ისე დიალოგებში უფრო მეტი ჩართულობით. წამყვანები ღიად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ქვეყნის ხელისუფლებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების მიმართ. მათ საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მიმართ, რაც არაერთხელ იკვეთება მათ მსჯელობაში.

მაგალითები:

4 სექტემბრის გადაცემას ასე იწყებს შალვა რამიშვილი: „გამარჯობათ, განახლებული სტუდიიდან ვმაუწყებლობთ და მაქვს ერთი თხოვნა სააკაშვილისადმი, რომ ნუ დაგვარბევ. მოდი სპეცნაზთან ერთად და ჩვენ თვითონ დაგნებდებით. რატო გამიჩნდა ეს გრძნობა, იცი? ახალი სტუდიებია, მძლავრად გავდივართ და არ მოსწონს ეს აშკარად მიშას.“

დიანა ტრაპაიძე: „ხელისუფლების მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ათქმევინოს ქართულ ოცნებას არჩევნებამდე, რომ მათ აღიარონ არჩევნების შედეგი.“
(4 სექტემბერი)

შალვა რამიშვილი: „ეს 1000 ლარიანი ვაუჩერი არის თაღლითობა“ (6 სექტემბერი)

შალვა რამიშვილი: „იქნებ ეყოს სახალხო დამცველს ბოჩელის კონცერტზე ჩვენი ფულით სიარული, აწიოს ერთი ადგილი სავარძლიდან და კარგად გაერკვეს თუ რა ხდება ციხეებში“ (18 სექტემბერი)

24 სექტემბრის გადაცემაში შალვა რამიშვილი აფასებს როლანდ ახალაიას განცხადებას პატიმრების წამების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით: ”რონალდ ახალაიას პროტესტი, როდესაც საკუთარ სახლში, უბადრუკ რაღაც ფონზე, ხუთიანის ქვეშ ჩაწერა მიმართვა, სადაც თქვა, რომ ის აღშფოთებულია და გმობს, ეს იყო მე მგონი ცინიზმის პიკი.“

იგივე გადაცემაში დიანა ტრაპაიძეც გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას: ”მე ვფიქრობ, რომ წარსულზე მითითების მორალური უფლება დაკარგეს [ხელისუფლებამ].“

ასევე ხშირია ირონიული და ცინიკური მსჯელობები ჟურნალისტების მხრიდან.

4 სექტემბრის გადაცემაში შალვა რამიშვილი მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ გამოსვლაზე ამბობს: „დაუკ ჩერგოლეიშვილმა თქვა ძან მაგარი სფიჩი აქვს მარა რო არ ყვიროდეს უფრო მაგარი იქნებოდაო. იმიტო რო ხავის ტიპი. აააააააა:“

შალვა რამიშვილი: „როგორ შეიძლება მიშაზე მაგარი იყოს ვანო?! მიშა ხო მაგარია?! მემგონი, მაგაზე იმოქმედა 3-ჯერ რო თქვა, სამჯერ არა 10-ჯერ თქვა, რომ ჩემი წინაპრები ვაშლის გამყიდველები იყვნენო და ამან აუწია ფანტასტიკურად რეიტინგი. ვაშლი ძან სენსიტიური ხილია.“ (7 სექტემბერი)

10 სექტემბრის გადაცემაში, სადაც თანაწამყვანი გიორგი მარგველაშვილი იყო, ეთერმა საკმაოდ მხიარულად ჩაიარა. რამიშვილი და მარგველაშვილი თითქმის მთელი გადაცემის განმავლობაში ხუმრობდნენ ჯერ უწყებათშორისი კომისიის შეთავაზებაზე მაესტროს მიმართ, რომ ფოსტამ დაარიგოს მაესტროს თეფშები. ხოლო

შემდეგ ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე - 90-იანი წლების დინოზავრების გაქრობის შესახებ.

შალვა რამიშვილი ეუბნება მარგველაშვილის: „გაკაიფო ეხლა.. რუსეთს უკლეს ცოტა და წარმოიდგინე, ხო ხვდებოდნენ მიშისტები ბიძინას მომხრეებს და ეუბნებოდნენ რო რუსეთი, რუსეთის კაცი აღარ გვინდა და ეხლა ახალი ინსტრუქცია მიუვათ, დინოზავრები აღარ გვინდა.“ (იცინიან)

შალვა რამიშვილი: „მიშას ბავშვობის შიშია ეს, დარწმუნებული ვარ [დინოზავრები].“

სხვადასხვა მიკუთვნების სტუმრები გადაცემაში არათანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანები კრიტიკულები არიან სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ, გარდა კოალიცია ქართული ოცნებისა. ირონიაც ძალიან ხშირია მათ მიმართ.

მაგალითად, 17 სექტემბრის გადაცემა დაიწყო, რამიშვილის თქმით, „საზეიმო ნიძლავით“, რომ კახა კუკავა არჩევნებში 2%-საც ვერ აიღებს.

გადაცემის მსვლელობისას შალვა რამიშვილი ხშირად ეკამათებოდა და არ ეთანხმებოდა თანაწამყვან კახა კუკავას.

„არა, არა, არ არის ეგრე, გეშლება.“

„ყველამ იცის, რომ შენ ბარიერს ვერ გადალახავ და ხმებს წაართმევ ბიძინას.“

20 სექტემბრის გადაცემაში შალვა რამიშვილსა და კახა კუკავას შორის საუბარი სუბიექტური აზრების გაცვლა-გამოცვლით დაიწყო, თუმცა მოგვიანებით აზრთა სხვადასხვაობა მათ შორის ცხარე კამათში გადაიზარდა.

გთავაზობთ მოკლე ამონარიდს:

შალვა რამიშვილი: „იცი რაა კახა? ეხლა რას გეტყვი იცი? შენ ეხლა რაღაცა ჭკუას მასწავლი. მე მიუხედავად ჩემი მართლა გულწრფელი, სიტყვაზე კი არ ვამბობ, რაღაცნაირად მევასები რა. მაგრამ იმ მცირერიცხოვანი პარტიისგან, ვისაც მხარდამჭერები არა ყავს, ამ ტელევიზიის მუშაკი და ჩემი ტელევიზიების მეგობარი, რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი იმაში რაც მოხდა და როგორ შეირყა ეს ყველაფერი, ასეთ შენიშვნას ვერ მივიღებ შენგან!“

...

კახა კუკავა: „ნუ დაემსგავსებით „რუსთავი2“-ს. შენ ეხლა იქცევი როგორც „რუსთავი 2“-ის წამყვანი. ოდნავ განსხვავებული აზრი, ერთი გრადუსით და ვერ იტან!“

შალვა რამიშვილი: „რას ქვია ვერ ვიტან? მე რა, ვინმეს ვზღუდავ?“

კახა კუკავა: „კი. მე მზღუდავ!“

შალვა რამიშვილი: „რას ვზღუდავ? პირდაპირ ეთერში ხარ!“

კახა კუკავა: „ოხ, გმადლობ. ესე იძახდა მიხეილ სააკაშვილიც პირდაპირ ეთერშია ჩვენი ოპოზიციაო. მაესტროს მიმართ შენ არ გაქვს იმდენი ღვაწლი და დამსახურება რამდენიც მე.“

შალვა რამიშვილი: „რა უცნაურია!“

კახა კუკავა: „კი, ესეა ნამდვილად. შენ რო იმედზე მუშაობდი, მე პლაკატი მეჭირა, რომ „მიეცით მაესტროს სატელიტური ლიცენზია“. ამიტომ მაგაზე ვინ საუბრობს და ვინ აკნინებს მაგ ხალხის ღვაწლს?! მე სხვა რამეს გეუბნები, არ დაგვემართოს ეიფორიები.“

შალვა რამიშვილი: „კაი, ეხლა დავიწყოთ ლაპარაკი ვინ სად დარბოდა, ვინ ვისთან მიდიოდა?!“

კახა კუკავა: „დავიწყოთ, მიდი, რა გეწყინა?!“

შალვა რამიშვილი: „მე რო იმედში ვმუშაობდი შენ ჟირინოვსკისთან იჯექი!“

კახა კუკავა: [იცინის] კიდე, კიდე, ბარემ გივი თარგამაძის რაც არის ბოლომდე დახარჯე აქ!“

შალვა რამიშვილი: „რა შუაშია გივი თარგამაძე? სირცხვილია იმ დეგენერატიან ერთად მისვლა და იქ ხლება!“

კახა კუკავა: „დღეს შენ ხარ, რუსთავი ორი რასაც ლაპარაკობს ის.“

შალვა რამიშვილი: „რა ვარ „რუსთავი 2“?! შენი ჭირიმე, აი მანდ დაიმარხე შენი თავი რომ მე „რუსთავი 2“-ს მადარებ რა!“

კახა კუკავა: „რატომ? შენ ხარ მეტრი ეხლა და ვსო?“

შალვა რამიშვილი: „კი, შენთან შედარებით მეტრი ვარ, კი!“

კახა კუკავა: „კარგით, შალვა რამიშვილი არის საზოგადოების მეტრი. აგერ არის ქართული საზოგადოება და აგერ არის სიმბოლო [შალვა რამიშვილზე უთითებს].“

უურნალისტების მიერ დასმული კითხვები ზოგ სტუმრებთან საკმაოდ ლმობიერია. ამასთან, ხშირად, დასმულ კითხვებში ჩანს წამყვანების დამოკიდებულება საკითხისადმი ან კითხვა ისეა დასმული, რომ სტუმარს უბიძგებს კონკრეტული პასუხისკენ.

მაგალითად:

24 სექტემბრის გადაცემაში დიანა ტრაპაიძე მსჯელობს და თან კითხვით მიმართავს ექსპერტ გია ხუხაშვილს: „როგორც სანდრო გირგვლიანის ამბავზე მართლმსაჯულება ცდილობდა შარდენის ქუჩა და ოქროყანის ინცინდენტი გაემიჯნა

ერთმანეთისგან, ეს ორი ისტორია, რომ არ მომხდარიყო მაღალჩინოსნების დაკავშირება ამ კონკრეტულ ამბავთან. ისე ცდილობენ ეს კონკრეტული ამბავი ციხის სისტემურ მარცხად აქციონ და არა მთელი ხელისუფლების სისტემურ მარცხად. ეს გამოსდით? ვინაიდან პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს სხვა ქვეყნებში ოთხ დღეში ერთხელ ხდებაო.”

იგივე გადაცემაში შალვა რამიშვილი კითხვით მიმართავს სტუდენტებს ლევან ლორთქიფანიძესა და ოთო კობახიძეს სააკაშვილის გამონათქვამებზე „წარსულში დაბრუნებასთან” დაკავშირებით: „როგორ აღიქვამთ სააკაშვილის მუქარებს? მისი პიარსვლა ძალიან სერიოზულია, როდესაც ის თქვენ, სტუდენტებს, აჩვენებს, რომ აი, ეს გინდათ? (ხელით ჟესტიკულაციას აკეთებს ერთ მხარეს) დავუშვათ, ზღულაძე არ გირჩევნიათ თუ 90-იანი წლების აჩრდილები? და თქვენ ის 90-იანი წლები არ გახსოვთ. აი ეს ფანდი როგორ მუშაობს?”

26 სექტემბრის გადაცემა შეეხო სხვადასხვა არხებზე გავრცელებულ აუდიო ჩანაწერებს, სადაც „ქართული ოცნების“ წევრები ლანდღავენ ერთმანეთს და უარყოფითი კუთხით არიან წარმოჩენილი. წამყვანებმა „ქართული ოცნების“ წევრ ლევან ბერძენიშვილთან, რომელიც ასევე ფიგურირებდა ამ აუდიო ჩანაწერებში ისაუბრეს არა როგორც მოპასუხესთან, არამედ აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას, რომ ეს ვიდეოები ფალსიფიკაცია და ხელისუფლებას აკრიტიკუბდნენ ამის გამო.

აღსანიშნავია, რომ თუ გადაცემის სტუმარი ხელისუფლების წარმომადგენელია ან ლმობიერად არის განწყობილი მათდამი, კითხვები საკმაოდ მწვავე და მომთხოვნია.

მაგალითად 27 სექტემბერს, როდესაც თოქშოუს სტუმრები იყვნენ საკრებულოს წევრები მიხეილ ქავთარაძე და ირაკლი შიხაშვილი დიანა ტრაპაიძე მათ შედარებით მწვავე კითხვებით მიმართავდა: „თქვენ არ იცოდით, არ გსმენიათ რომ ციხეში მსგავსი ხდებოდა? თუ ვიდეოს ნახვა იყო ამისთვის აუცილებელი?“

„ანუ ამ ფაქტების ჩვენებამდე თქვენთვის ყველაფერი სხვა გამართლებული იყო?“

როგორც უკვე აღინიშნა, გადაცემის სტუმრები უფრო ხშირად ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები არიან. იქიდან გამომდინარე, რომ უურნალისტები უმეტესად იზიარებენ მათ პოზიციას არ აწყვეტინებენ საუბარს და ყოველთვის აძლევენ საშუალებას საკუთარი მოსაზრება ბოლომდე ჩამოაყალიბონ. თუმცა, ზოგად ტენდენციაზე თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად მაინც შალვა რამიშვილი ერევა ხოლმე სტუმრების საუბარში, ხანდახან აწყვეტინებს საუბარს პატარ-პატარა რეპლიკებით ან ეთანხმება მათ პოზიციას მოკლე გამონათქვამებითა და თავის ქნევით. აღსანიშნავია, რომ როდესაც წამყვანების აზრი განსხვავდება სტუმრების მოსაზრებებისგან ხშირად აწყვეტინებენ მას საუბარს და აზრის გამოთქმას ბოლომდე არ აცდიან.

მაგალითად 6 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრად პოლიტოლოგი გია ნოდია იყო, რომელიც თავისი ხელისუფლებისადმი ლმობიერი მოსაზრებებით გამოირჩევა, წამყვანები, განსაკუთრებით შალვა რამიშვილი, ძალიან ხშირად აწყვეტინებდნენ მას საუბარს. მსგავსი სიტუაცია იყო კახა კუკავას გადაცემაში სტუმრობისას (17 სექტემბერს). ერთ მომენტში კუკავამ ირონიულად შენიშნა კიდევაც: „მე-15 წამზე მაინც გამაწყვეტინეთ აზრი, მე-2 წამზე რომ მაწყვეტინებთ“.

ირონიის გარდა, ხანდახან, შალვა რამიშვილის მხრიდან ადგილი აქვს სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები, საკმაოდ დიდი დოზით ციხის მოვლენებისადმი მიძღვნილ გადაცემაში გამოვლინდა.

შალვა რამიშვილი: „მე მანცვიფრებს უტიფრობის დონე „ნაციონალური მომრაობის“ ზოგიერთი წევრისა, მაგალითად, წიკლაური ამბობს, რომ ახალაია არ უნდა

გადავაყენოთ, რადგან ის რეფორმატორია, ეს არის უტიფრობა წმინდა წყლის და საერთოდ, არამარტო უტიფრობა, არამედ შეცდომა.“ (20 სექტემბერი)

გადაცემის სტუმრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების უხეში შემთხვევები არ დაფიქსირებულა. თუმცა, 26 სექტემბრის გადაცემაში წამყვანები არ რეაგირებენ სტუმრის, ლევან ბერძენიშვილის (კოალიცია ქართული ოცნება), საუბარზე მაშინ, როდესაც იგი ოროსან სტუდენტს ადარებს ჩიორა თაქთაქიშვილს (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრესსპიკერი), ხოლო საქართველოს პრეზიდენტს „უსინდისოს“ უწოდებს. პირიქით, ეღიმებათ მის ნათქვამზე.

იგივე შემთხვევა იყო 11 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც თინა ხიდაშელმა თქვა:

„აი, ეხლა რა ხდება: ხელისუფლება დაიჭრა, მისთვის ეს მძიმე დარტყმა იყო. მაგრამ აი ბოკერია, რომ არის და ეგეთი გველები ცდილობენ აისხლიტონ ეს და ის რასაც სააკაშვილი აკეთებს, საზოგადოება არ უდნა წამოეგოს ამაზე.“

„პოლიტმეტრი“

„პოლიტმეტრი“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 22 საათსა 20 წუთზე და მისი წამყვანია ნინო ჟიჟილაშვილი. გადაცემა სამი ნაწილისგან შედგება, თითოეულში თითო სტუმარი ზის სტუდიაში. ჩვეულებრივ, თოქშოუს მეორე ნაწილში ხდება პირდაპირი ჩართვა კიდევ ორ სტუმართან, რომლებიც სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ და გადაცემა უფრო დებატების ფორმატში გადადის.

მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) მაესტროზე „პოლიტმეტრის“ სულ 20 გადაცემა გავიდა. გადაცემების ხანგრძლივობა საშუალოდ საათნახევარი გრძელდებოდა.

სექტემბერში ”პოლიტმეტრში” გასული თემები, პრაქტიკულად, სრულად მოიცავდა მიმდინარე ყველაზე აქტუალურ საკითხებს:

- ლაფანყურის სპეცოპერაცია,
- არჩევნები (საარჩევნო სიები, ემიგრანტები, მედია გარემო),
- საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს შესახებ,
- სოციოლოგიური კვლევები,
- უნივერსიტეტიდან ლექტორების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება,
- მედია გარემო,
- პატიმრების წამება ციხეებში,
- საპროტესტო აქციები,
- გოგა ხაინდრავას კრიმინალურ ავტორიტეტთან კავშირი,
- გავრცელებული ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების შეფასება და სხვა.

18-24 სექტემბერს გასული გადაცემები ეხებოდა პატიმრების წამების ფაქტებს; მის შეფასებებს და რეაქციებს საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ გადაცემა სექტემბრიდან ახალი სტუდიით და გაზრდილი დროით გავიდა ეთერში. ”პოლიტმეტრი” გამოირჩევა სტუმრების მრავალფეროვნებით, მხარეები საკმაოდ დაბალანსებულად არიან წარმოდგენილნი და რესპონდენტები გადაცემის თემების შესაბამისად არიან შერჩეულნი. მონიტორინგის პერიოდში თოქშოუს სტუმრობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები (საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია და მმართველი გუნდი), ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა.

ნინო ჟიჟილაშვილი გადაცემებში საკმაოდ აქტიურია და ხშირად სვავს კითხვებს, შეიძლება ითქვას, რომ მისი კითხვები უფრო მეტად მომთხოვნია ვიდრე ლმობიერი. მთლიანობაში, ჟურნალისტი გადაცემაში თითქმის ყოველთვის იცავს პოლიტიკურ ბალანსს და ყოველთვის ცდილობს კონკრეტულ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოებამ მიიღოს ყველა არსებული მოსაზრება. ხშირად ეძიება რესპონდენტებს და ცდილობს მიიღოს კონკრეტული პასუხები. როგორც ოპოზიციის მომხრეებს, ასევე ხელისუფლების მხარდამჭერებს ყოველთვის ეძლევათ საკუთარი აზრების გამოთქმის საშუალება.

როდესაც სტუდიაში განსხვავებული პოზიციის მქონე სტუმრები არ სხედან ან კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არ სთანხმდებიან გადაცემაში მონაწილეობის მიღებაზე, ჟურნალისტი ყოველთვის აღნიშნავს ამას. მაგალითად, 10 და 28 სექტემბერს ჟიჟილაშვილმა თქვა, რომ ”ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადენლების მოწვევა სურდა, მაგრამ ისინი „მზად არ აღმოჩნდნენ“ გადაცემაში მისასვლელად.

27 სექტემბერს კი ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ძალიან სურდა განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანების მოწვევა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის და მისი მოადგილის, თუმცა, არ გამოუვიდა.

ნინო ჟიჟილაშვილი ცდილობს, რომ გადაცემებში საკუთარი პოზიცია არ დააფიქსიროს. თუმცა, იქიდან გამომდინარე თუ ვინ არის გადაცემის სტუმარი და რა თემა განიხილება ჟურნალისტის ქცევაც შესაბამისად იცვლება. არის გადაცემები, როდესაც ნინო ჟიჟილაშვილი ლიად არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს, სვავს კითხვებს, წარმართავს დისკუსია/დიალოგს და ოპონირებას უწევს სტუმრებს. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც ჟურნალისტის საუბრიდან გამომდინარე აშკარად იგრძნობა მისი პოზიცია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პატიმართა წატიმართა წამების

ამსახველი კადრებისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრების საუბრების აუდიო ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ ვლინდება. წამყვანი მმართველი გუნდისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ უფრო კრიტიკულად არის განწყობილი. ამავდროულად, ის საკმაოდ ლოიალურია ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ, ოპონირებას არ უწევს სტუმრებს განსხვავებული პოზიციიდან და მის მიერ დასმული კითხვებიც საკმაოდ ლმობიერია. ჟიჟილაშვილის დამოკიდებულება კითხვის ფორმულირებიდანაც იგრძნობა, რომლებიც ხშირად უბიძგებს რესპონდენტს პასუხისკენ.

მაგალითები:

19 სექტემბერს, როდესაც გადაცემაში სტუმრად იყო დავით დარჩიაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და თემა ეხებოდა ციხეში მომხდარ ფაქტებს წამყვანი მის მიმართ განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. ჟიჟილაშვილის კითხვებში ნათლად გამოჩნდა მისი დამოკიდებულება საკითხის და ზოგადად სტუმრების მიმართ. საკმაოდ ემოციურად იყო ჩართული და ჩანდა რესპონდენტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მისი მხრიდან.

„თქვენ საზოგადოება გისმენთ ახლა და თქვენ საზოგადოებას არ ეუბნებით მართალს ყველაზე მსუბუქი შეფასებით. გადმოვარდნილი ადამიანები ჩვენ გვყავს ნანახი თქვენი პილიციის ხელშიც. ქიმერიძის შემთხვევაა საკმარისი ამისთვის, რომელიც ხაშურში მოხდა. ასევე 26 მაისი, დაუსჯელი ადამიანები, შემთხვევით სახურავებზე აღმოჩენილი გარდაცვლილები და ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი პირი ივანე მერაბიშვილი, რომელიც პოლიტმეტრს გამინისტრებიდან მეორე დღეს ეუბნებოდა რომ ის პასუხისმგებლობას იღებს. რაში გამოიხატება ეს ყველაფერი? ვინ იძიებს ამ ყველაფერს? რომელ წარმატებებზე საუბრობს მმართველი გუნდი? მიპასუხეთ ამ მართლაც და რიტორიკულ შეკითხვებზე თუ შეიძლება.“

„მალიან უშუალოდ, პერსონალურად თქვენ მინდა გკითხოთ, იმაზე მეტის თქმის სურვილი არ გაქვთ რაც ეხლა გვითხარით? როგორც პარტიის წარმომადგენელმა, ასე არ გინდათ, რომ ცოტა მეტად გააკრიტიკოთ? ცოტა მეტად, ან ვანო მერაბიშვილი, ან ბაჩო ახალაია ან სისტემა? ეს არ იყოს მარტო ზოგადი ფრაზები? პარტიული ფრაზები.“

ასეთივე დამოკიდებულება იყო 20 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც სტურმად ჰყავდა გოგა ხაჩიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა). თემა ეხებოდა ისევ პატიმრების წამების ფაქტებს. საკმაოდ ირონიული იყო ნინო ჟიჯილაშვილი გოგა ხაჩიძის მიმართ მთელი ინტერვიუს მანძილზე. პირველივე შეკითხვა, რაც ჟურნალისტმა დაუსვა რესპონდენტს ჟლერს შემდეგნაირად: „გია ბარამიძისგან ჩვენ ასეთი ფრაზა მოვისმინეთ: „თავაწეულებმა იარეთო“. ასე უთხრა მან თქვენს ამომრჩეველს. თქვენ ეხლა თავაწეული ხართ ჩემს სტუდიაში?“

იგივე გადაცემაში:

„რა შეიცვალა ჩვენ ამაზე დღეს აქ ვერ ვილაპარაკებთ, იმიტომ რომ ჩვენ ვიცით რომ არაფერი არ შეცვლილა.“

სტუმარი ხშირად უხვევდა თემიდან და პასუხობდა ჟურნალისტის დასმულ შეკითხვას. ერთ მომენტში, როდესაც წამყვანმა გააწყვეტინა მას საუბარი და სტუმარმა უთხრა, რომ თუ მისი აზრი აინტერესებს უნდა დაასრულებისნოს, ამაზე წამყვანმა უთხრა: „მე მაინტერესებს აზრი თქვენი კითხვებზე და არა ინტერპრეტაციები, არა დემაგოგია. დიდი ბოდიშის მოხდით“.

ბლოკის ბოლოს ჟიჯილაშვილი საკმაოდ ირონიულია და აღნიშნავს:

„თქვენ, ისევე როგორც თქვენს კოლეგას [დავით დარჩიაშვილი], აღარ გიხსენებიათ არც ერთი გზავნილი ნაციონალური მოძრაობის, მათ შორის „მეტი სარგებელი

ხალხს“, და ბუნებრივია იმასაც ვეღარ გვეტყვით, რომ მიშა მაგარია. თუ ისევ იმ აზრზე ხართ?... თქვენი სიმღერა და ტექსტი ‘მიშა მაგარია’ ძალაშია?“

განსხვავებული დამოკიდებულება იგრძნობა 19 სექტემბრის გადაცემაში მყოფ სტუმრების მიმართ: ლევან ბერძენიშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი და შორენა შავერდაშვილი. საუბარი დისკუსიის სტილში წარიმართა. ჟურნალისტი ლმობიერი იყო ლევან ბერძენიშვილის მიმართ. ეს ლმობიერიება კი იმაში გამოიხატა, რომ ციხის ირგვლივ განვითრებულ მოვლენების შესახებ ქართული ოცნების ან ოპოზიციის რაიმე სახით მონაწილეობის შესახებ მხოლოდ ერთი კითხვა დაუსვა, თვითონ კითხვაში შემცველი უარყოფის ფორმით:

„ბატონო ლევან, თქვენ შეგიძლიათ თქვათ რომ აი, ამ კადრების გავრცელების რაიმე სქემაში ქართული ოცნება არ მონაწილეობდა?“

ჟურნალისტის კითხვების ფორმულირება ხანდახან უბიძგებს სტუმარს პასუხისკენ:

“ერთი საინტერესო ფრაგმენტი მინდა წაგიკითხოთ გიგი უგულავას გამოსვლიდან: „მე გულწრფელად თანავუგრძნობ, ყველა დაზარალებულს და მათ ოჯახებს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი წამების იარაღი ჯვარი იქცა. კაცობრიობის ცოდვისგან გამოხსნის, ქრისტიანული ცივილიზაციის და ევროპული ღირებულებების მთავარ სიმბოლოდ. სწორედ ასე, ამ მაგალითით, ჩვენ ეს სირცხვილი, გნებავთ სისტემური მარცხი, უნდა ვაქციოთ შემობრუნებად, კათარზისად და კატალიზატორად გამჭვირვალე, სუფთა და ადამიანური მმართველობისკენ. იმედად, რომ ძალადობა ერთხელ და სამუდამოდ დატოვებს ჩვენს საპატიმროებს, ქუჩებს და ეზოებს.“ ბატონო იაგო, არის თუ არა დამაჯერებელი ეს განცხადებები და მსგავსი განცხადებები ხელისუფლების მხრიდან?“ (18 სექტემბერი, სტუმარი იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგი)

„მაინც რატომ ფიქრობთ, თუკი ყველაფერი ესე კარგად არის NDI-თან დაკავშირებით, გამჭვირვალეა ყველაფერი, გასაგებია თითქოს ყველაფერი. მაინც რატომ არის ესეთი დიდი სკეფსისი ამ შედეგების მიმართ? პოლიტიზირებულია და იმიტომ?“ (28 სექტემბერი, სტუმარი მარკ მალენი, (საერთაშორისო გამჭვირვალობის მმართველი საბჭო))

უურნალისტი ხშირად ეძიება და ოპონირებას უწევს სტუმრებს და მათი პოზიციისგან განსხვავებულ მეორე აზრს აფიქსირებს.

მაგალითები:

3 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც მანანა კობახიძე (კოალიცია ქართული ოცნება) ამბობს, რომ მხოლოდ ერთი რეალური ოპოზიციაა და ეს არის ქართული ოცნება. ამ დროს უიუილაშვილი კითხულობს: „ამით რისი თქმა გნებავთ, რომ ქალბატონი ინგას ბლოკი არ არის ოპოზიციური ძალა? რომელიც თქვენთან ერთად მონაწილეობს დღეს დიკუსიაში, კიდევ ერთხელ გინდათ ამისთვის ხაზგასმა?“

„თუმცა ბატონო გია [გია ყარყარაშვილი, კოალიცია ქართული ოცნება], თუ ეს შეიარაღებული ჯგუფი გადავიდოდა რუსეთის საზღვარზე საქართველოს უსაფრთხოებას შეექმნებოდა სერიოზული პრობლემები, არა? ეს ერთ-ერთი არგუმენტია ხელისუფლების.“ (4 სექტემბერი)

„ხომ არ ჯობდა ბატონო კახა [კახა კუკავა, თავისუფალი საქართველო], რომ ყოფილიყო „საქართველოს მოქალაქე გლეხებს“. რადგან აზერბაიჯანელ გლეხსაც უნდა მიწა, სომეხ გლეხსაც უნდა მიწა. მიწას ქართველ გლეხებს დავუბრუნებთო, გიწერიათ [საუბარია პარტიის სარეკლამო რგოლზე].“ (13 სექტემბერი)

24 სექტემბრის გადაცემაში უურნალისტი ჩაეძია ირაკლი ალასანიას: „ე.ი თქვენ შეგიძლიათ ზუსტად თქვათ, რომ ბაჩო ახალაია არის მოქმედი დეფაქტო მინისტრი და მას ჰყავდა ჩამოყვანილი [სამეგრელოში] ეკა ზღულაძე?“

აღსანიშნავია 25 სექტემბრის გადაცემა, სადაც სტუმარი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრესპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილი. გადაცემა გამოირჩეოდა უურნალისტის მხრიდან აშკარა უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვით სტუმრის მიმართ, ასევე, ირონიული და ცინიკური დამოკიდებულებით. სტუმარმა გადაცემის დასაწყისშივე დასდო ბრალი ჟიჟილაშვილს გოგა ხაინდრავას შესახებ მასალების არასრულად ჩვენებაში. რაზეც წამყვანმა ასე უპასუხა:

„ამიტომ, თქვენ რომ ეხლა მე დამაბრალეთ რომ მე რაღაც სპეციალურად არ გავაკეთე, თუ ასე აბრალებთ გოგა ხაინდრავასაც, რომ სპეციალურად წავიდა საფრანგეთში და რაღაცა გააკეთა, მაშინ ეს ცოტა უხერხული იქნება.“

სტუმარსა და წამყვანს შორის ასეთი დამოკიდებულება გადაცემის ბოლომდე გაგრძელდა. წამყვანს მოუწია იმის მტკიცება, თუ რატომ სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს, ხოლო თაქთაქიშვილი მას დაჟინებით აბრალებდა მიკერძოებულობას.

„მე ვცდილობ მეტი გავარკვიო, ქალბატონო ჩიორა. მე ასე მასწავლეს, დედა რომ გეტყვის მიყვარხარო, უურნალისტიკის სახელმძღვანელოებში წერია, ისიც კი გადაამოწმეო. ამიტომ ვამოწმებ საფრანგეთის ჟანდარმერიასაც, ბუნებრივია. თუკი თქვენ გაქვთ ეს ინფორმაცია და თუ შეგიძლიათ მომეხმაროთ ამის გარკვევაში, მაინტერესებს, ფაქსით თუ უნდა მოსულიყო რატომ იყო თეა ბურჯალიანი პარიზში და რატომ ვერ ვნახეთ მისი მუშაობის პროცესი ფრანგულ ჟანდარმერიასთან? ჩვენ ვნახეთ საფრანგეთის რომელიღაც ქუჩაში თუ პარკში ჩაწერილი თეა ბურჯალიანი, მისი ინტერვიუ, აბრაც კი არ გვინახავს ფრანგული ჟანდარმერიის. ჩნდება ეს კითხვები, მე ვსვამ ამ კითხვებს.“

გაუგებრობა შეიქმნა, როდესაც პრესსპიკერის თქმით მას არ ესმოდა წამყვანის ხმა და ამის მაგივრად პროდიუსერების სიცილი ესმოდა.

ჩიორა თაქთაქიშვილი: „ქალბატონო ნინო, თქვენი ხმა არ ისმის. მინდა გითხრათ და იქნებ თქვენს პროდიუსერებს მოუწოდოთ, რომ იქნებ ხარხარისგან თავი შეიკავონ, რომელიც მე მესმის. გამოიჩინონ ჟურნალისტისთვის დამახასიათებელი მინიმალური მიუკერძოებლობა და ხმა აუწიონ თქვენს აუდიო ნაწილს.“

ნინო ჟიჟილაშვილი: „მე მეგონა ხარხარი ნაციონალური მოძრაობის ოფისიდან გვესმოდა. ეს არ არის ჩვენი ოფისიდან ხარხარი. მემგონი თქვენთან არის ხარხარი. თუ ასეთი მსგავსი რამ მოხდა, არ ვიცი, მე მოვუწოდებ მათ თუ რაიმე არაკორექტულად მოუვიდათ.“

ჩიორა თაქთაქიშვილი: „თქვენი თანამშრომლები აგერ არიან და მოწმეები არიან, რომ სრული სიჩუმეა.“

ნინო ჟიჟილაშვილი: „კარგით, მაშინ ვიღაცას თუ გაეცინა ეხლა ამას ვერ ავუკრძალავთ ბუნებრივია, თუმცა მე მათ ვთხოვ თუ ეს ჩვენგან არის, მაგრამ მე ეჭვი მეპარება ეს ჩვენგან იყოს.“

ჩიორა თაქთაქიშვილი: „ეს თქვენს პროდიუსერებს ეხება, რომელთა ვალდებულება არის იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები.“

ნინო ჟიჟილაშვილი: „თუკი ვინმემ გაიცინა, ეს რას ნიშნავს, რომ აღარ არიან მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები თქვენ ფიქრობთ?! ეხლა ეს ცოტა გადაჭარბებულია.“

აღსანიშნავია ის, რომ წამყვანი ღიად არ აფიქსირებს თავის პოზიციას, თუმცა მისი დამოკიდებულება იკვეთება ზოგიერთ ეპიზოდში. მაგალითად, წამყვანმა

თაქთაქიშვილს, მაინცდამაინც იმ ადამიანის პოსტი წაუკითხა ფეისბუკიდან, რომლის კითხვაც კრიტიკას შეიცავდა ხელისუფლების მიმართ.

„ეხლა ერთი ჩვენი მაყურებლის პოსტი წავიკითხე. ესეთი კითხვა აქვს თქვენთან: ქურდებთან მეგობრობა უფრო დიდი პრობლემაა და კრიმინალი თუ საპატიმროებში ადამიანების გაუპატიურებაო? -ასეთ რამეს გეკითხებათ მაყურებელი.“

აღსანიშნავია, ასვე, ის ეპიზოდი სადაც წამყვანი ძალიან დაჟინებულად მოითხოვს სტუმრისგან ერთ კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემას: „იღებთ თუ არა ეუთოს შენიშვნას?“ ჟიჟილაშვილი კითხვას ძალიან ბევრჯერ იმეორებს, მიუხედავად იმისა, რომ მალევე ხდება ცხადი სტუმარი არ აპირებს ამ კითხვას ცალსახად უპასუხოს. წამყვანი თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს „პრინციპის საკითხია“ და შეუჩერებლად იმეორებს კითხვას.

ჩიორა თაქთაქიშვილი: „ქალბატონო ნინო, გიპასუხეთ, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის შენიშვნა არის მნიშვნელოვანი და თქვენი ასეთი იაფფასიანი ქცევა არამგონია დადებითად აისახოს ან თქვენს ავტორიტეტზე, თქვენი სტუდენტების წინაშე ან საქართველოს მოქალაქეების წინაშე.“

ნინო ჟიჟილაშვილი: „ქალბატონო ჩიორა, დიდი მადლობა მზრუნველობისთვის.“

წამყვანის მომეტებულ კრიტიკას ჩიორა თაქთაქიშვილის მიმართ ისიც ადასტურებს, რომ ამ ბლოკის შემდეგ წამყვანმა გადაცემა შედარებით მშვიდ სტილში განაგრძო და პირველ ბლოკში გამოხატული კრიტიკულობა გადაცემის სხვა სტუმრების მიმართ არ გამოუჩენია.

„არგუმენტები” და „კვირის არგუმენტები” (თეა სიჭინავა)

„არგუმენტები” მაესტროს თოქშოუა, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში და რომლის წამყვანია თეა სიჭინავა. ძირითადად, „არგუმენტები” დებატების ფორმატითაა წარმოდგენილი და სტუდიაში ორი სტუმარია მოწვეული. სექტემბრიდან, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, „არგუმენტებთან” ერთად ეთერში გავიდა განსხვავებული ფორმატის „კვირის არგუმენტები”, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველში ჟურნალისტი და მოწვეული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი კითხვა-პასუხის რეჟიმში საუბრობენ, მეორეში - რესპონდენტი აკეთებს თავისი პარტიის პროგრამის პრეზენტაციას და მას აფასებენ სტუდიაში მყოფი ექსპერტები, და მესამე - დარბაზში მყოფი აუდიტორია სტუმარს უსვავს კითხვებს.

მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) მაესტროზე „არგუმენტების” და „კვირის არგუმენტების” სულ 19 გადაცემა გავიდა. გასული გადაცემები საშუალოდ 1 საათს გრძელდებოდა.

„არგუმენტებში” განიხილეს შემდეგი თემები:

- NDI-ის კვლევა,
- ამერიკელი სენატორების საქართველოში ვიზიტის შეფასება,
- მაესტროს სატელიტური თევზების დაყადაღების საკითხი,
- საზოგადოების პოლარიზება,
- სოციოლოგიური კვლევების სანდოობა,
- კოალიცია ქართული ოცნება,
- ციხეებში პატიმრების წამება,
- სტუდენტების საპროტესტო აქციები,
- ფარული ჩანაწერები ქართული ოცნების წინააღმდეგ და სხვა.

რაც შეეხება „კვირის არგუმენტებს”, რომელიც, ძირითადად, პოლიტიკური პარტიების პროგრამებს ეთმობოდა, შემდეგი სუბიექტები იყვნენ მიწვეული: ახალი მემარჯვენები, ლეიბორისტული პარტია, თავისუფალი საქართველო, ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, კოალიცია ქართული ოცნება.

19-21 სექტემბრის „არგუმენტების” ეთერი დაეთმო პატიმრების წამების ფაქტებს და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ საკითხებს. 25 სექტემბრის „კვირის არგუმენტებში” კი ყოფილი პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და უფლებადამცველები ყვებოდნენ ციხეში არსებულ დარღვევებსა და წამების ფაქტებზე. ამ გადაცემაში თეა სიჭინავა მხოლოდ მოდერაციას ახდენდა და საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სტუმრისთვის მიეცა თავისი პირადი ტრაგედიის შესახებ საუბრის საშუალება, და ზოგჯერ საზოგადოების ცნობილ სახეებს სთხოვდა ვითარების შეფასებას. აღსანიშნავია, რომ მოწვეული სტუმრებიდან ყველა ცალსახად ხელისუფლებას ადანაშაულებდა და განსხვავებული მოსაზრება გადაცემაში არ დაფიქსირებულა.

სტუმრების თვალსაზრისით მონიტორინგის პერიოდში გასული თითქმის ყველა გადაცემა დაბალანსებული და მრავალფეროვანი იყო. მოწვეულნი იყვნენ როგორც კოალიცია ქართული ოცნების, ასევე ნაციონალური მომრაობის წევრები და სხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მედიის წარმომადგენლები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სტუდენტები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ფორმატის სხვაობასთან ერთად განსხვავებულია წამყვანის ქცევა „არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“. „არგუმენტებში“ თეა სიჭინავა მეტად უწევს ოპონირებას სტუმრებს, ხოლო „კვირის არგუმენტებში“ უფრო მოდერატორის

როლს ასრულებს. თუმცა, ორივე ფორმატის გადაცემაში იგი აქტიურადაა ჩართული, სტუმრებს უსვავს აქტუალურ კითხვებს, რომლებიც უფრო ხშირად მომთხოვნია, ვიდრე ლმობიერი, და ასევე ხშირად ეძიება მათ ინფორმაციის დასაზუსტებლად. უმეტესად წამყვანი სტუმრებს არ აწყვეტინებს საუბარს და, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებიც და წამყვანიც ერთმანეთთან დისკუსიაში შედიან, სტუმრები მაინც ახერხებენ აზრის გამოთქმას.

„არგუმენტებში“ თეა სიჭინავა უმეტესად ოპონირებას უწევს გადაცემის სტუმრებს და მათი პოზიციისგან განსხვავებული პოზიციის წარმოდგენას ცდილობს. მაგალითად, 17 სექტემბრის გადაცემაში, მიუხედავად იმისა, რომ სტუდიაში ორი განსხვავებული აზრია წარმოდგენილი, ჟურნალისტი რამდენჯერმე მაინც აფიქსირებს სტუმრის პოზიციისგან განსხვავებულ მეორე აზრს. თეა სიჭინავა ეუბნება ქართული ოცნების წარმომადგენელ თეა წულუკიანს: „სხვათაშორის პრეზიდენტის რიტორიკაც გარკვეულწილად ბოლო დღეების განმავლობაში შეიცვალა და ამაზე საუბრობენ მედიაში და საზოგადოებისთვისაც თვალშისაცემია.“ (17 სექტემბერი)

თეა სიჭინავა ღიად არასოდეს აფიქსირებს თავის პოზიციას. თუმცა, ზოგჯერ „არგუმენტებში“ სტუმრებთან ოპონირებისას მისი პოზიციაც ჩანს, კითხვების ფორმულირების ან რიტორიკული კითხვების დროს. მაგალითად, 10 სექტემბრის გადაცემაში იგი „თავისუფალი ინსტიტუტის“ წარმომადგენელ თეა თუთბერიძეს უწევს ოპონირებას სატელიტური თეფშების დარიგებასთან დაკავშირებით: „კი, ბატონო, ესე იგი, ეჭვი აღარ იქნება, მაშინ მაესტრომ დაარიგოს ეს სატელიტური თეფშები. რატომ უნდა დაარიგოს საქართველოს ფოსტამ, ეს გაუგებარია ჩემთვის.“ იმავე გადაცემაში: „ეჭვიც არ შეგეპარებათ, რომ ამაში შეიძლება რაიმე ხელისუფლების ინტერესი იყოს? 2 ოქტომბერს, მაგალითად, რომ გაითიშება ერთ-ერთ საკაბელო ოპერატორზე მაესტროს მაუწყებლობა.“ (10 სექტემბერი)

12 სექტემბრის გადაცემაში საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტმა არჩილ გამზარდიამ კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაზე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი გააკეთა პოლარიზაციის შესაჩერებლად.“ გამზარდიამ მოსაზრება გამოთქვა: კარგი იქნებოდა გაგვეგო, რა მეთოდებით და რა ხერხებით იმუშავეს მათ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელადო. რაზეც თეა სიჭინავამ ღიმილითა და სარკაზმნარევი ტონით შემდეგი რეპლიკა გააკეთა: „არ ჩანს ეს? მათი ყოველდღიური ქმედებებიდან, განცხადებებიდან გამომდინარე?“ (12 სექტემბერი)

„კვირის არგუმენტები“ გამოირჩევა გადაცემის ჩვეულებრივი ფორმატისგან. წამყვანი უფრო მეტად მოდერატორის როლშია და გადაცემის მეორე და მესამე ნაწილში უფრო მეტად უწევს მობილიზება იმ თვალსაზრისით, რომ დაარეგულიროს კითხვები და პასუხები აუდიტორიასა და სტუმრებს შორის. გადაცემის ასეთ ფორმატში წამყვანის პოზიცია ნაკლებად იკვეთება, იგი ცდილობს დასვას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე კითხვები და იყოს უბრალოდ კრიტიკული მოწვეული პარტიის მიმართ.

„კვირის არგუმენტებში“ თეა სიჭინავას კითხვები საკმაოდ მომთხოვნია სტუმრების მიმართ. მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც ნათელაშვილი ივანიშვილს ლანძღვდა, მან ჰკითხა: „რატომ შესთავაზეთ 2008 წელს პრემიერმინისტრობა, თუ ისეთი ადამიანია, რომელიც აქცევს ქვეყანას?“ (7 სექტემბერი).

13 სექტემბერს, როცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ გადაცემაში სტუმრად, პირველ ბლოკში თეა სიჭინავა საკმაოდ აქტიურად უსვამდა კითხვებს ბაჩუკი ქარდავასა და გურამ ჩახვაძეს და იყო მომთხოვნი. აქვე აღსანიშნავია, რომ იგი განსაკუთრებით ჩაეძია სტუმრებს ქართულ ოცნებასთან

დაკავშირებით და გარკვეულწილად ისე გამოჩნდა, რომ ქართულ ოცნებას ადვოკატობდა.

თეა სიჭინავა: „7 ოქტომბრის შემდეგ თქვენი კრიტიკის ობიექტი ძირითადად გახდა მეორე პოლიტიკური ძალა, რომლის სათავეში არის ბიძინა ივანიშვილი. ძალიან ხშირად გვესმის თქვენი განცხადებები სწორედ ამ პოლიტიკური ძალის მიმართ, ამიტომ ვსვამთ კითხვას: ნაკლები საკრიტიკო აქვს ხელისუფლებას? არაფერი არჩუდენია ისეთი, რომ საკრიტიკო არ ჰქონდეს?“

ბაჩუკი ქარდავა: „თქვენ ეხლა კითხვას სვამთ, და კითხვაში უკვე კომენტარი ისმის და პოზიცია... არ არის ეს სწორად დასმული კითხვა.“

თეა სიჭინავა: „კონკრეტული არგუმენტები, ფაქტები თუ გაქვთ იმის დასადასტურებლად, რასაც თქვენ ამ შემთხვევაში აკრიტიკებთ? ბრალს დებთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც წარმოადგენს ქართულ ოცნებას.“

„თქვენ ბრალდებას არ უყენებთ ბიძინა ივანიშვილს? რომ ის რუსულ ინტერესებს გაატარებს თუკი მოვა ხელისუფლებაში?“

„დეკლარაცია დღეს იცით თქვენ ქართული ოცნების? ისინი პროდასავლურ კურსს იზიარებენ და ნატოს უჭერენ მხარს. არ გსმენიათ ამის შესახებ?“

ასევე მწვავე კითხვებით გამოირჩეოდა იგი 19 სექტემბერს ჩიორა თაქთაქიშვილის მისამართით: „იღებს თუ არა თქვენი გუნდი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამ მარცხთან დაკავშირებით?“ „იმ 11 ადამიანის გარდა, კიდევ ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარზე? მხოლოდ 11 ადამიანის დანაშაულია ის, რომ სისტემური მარცხი განიცადა ამ რეფორმაში?“ [საუბარია ციხის 11 თანამშრომელზე, რომლებიც მომხდარის გამო დააკავეს] (19 სექტემბერი).

თეა სიჭინავა თოქშოუში ძირითადად თემასთან ახლოს საუბრობს გადაცემის სტუმრებთან და თემიდან გადაცდენის შემთხვევები არ ფიქსირდება. რაც შეეხება მოწოდებული ინფორმაციის წყაროს დასახელებას, წამყვანი ყოველთვის ასახელებს ინფორმაციის წყაროს, ძირითადად სანდო წყაროებს იშველიებს და ფაქტებზე დაყრდნობით სვამს კითხვებს.

წამყვანის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ ფიქსირდება. რაც შეეხება სტუმრების მხრიდან შეურაცხმყოფელ ან დამამცირებელ გამოთქმებს, მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რაზეც წამყვანს ხან ჰქონდა რეაქცია, ხან - არა.

მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა ბევრჯერ უწოდა ბიძინა ივანიშვილს „პინგვინი“, ასევე გამოიყენა ფრაზები „კაცი პოლიტიკურად გააუპატიურეს“, „თავგასიებული ჩოჩელი“, რაზეც წამყვანმა რამდენჯერმე შენიშვნა მისცა: „რატომ გიყვართ შეურაცხყოფების მიყენება? თქვენ გგონიათ რომ ეს რეიტინგს გმატებთ ამომრჩევლების თვალში?“ „ბატონო შალვა, ნუ მივაყენებთ ნურავის შეურაცხყოფას“ (7 სექტემბერი).

თუმცა, 19 სექტემბრის გადაცემაში ფილოსოფოსმა გიორგი მარგველაშვილმა რამდენჯერმე გამოიყენა ბაჩო ახალაიას მისამართით სიტყვები „სადისტი“ და „ფსიქიურად შეშლილი“, თუმცა უურნალისტს ამაზე რეაქცია არ ჰქონია. ასევე არ მოუხდენია რეაგირება თეა სიჭინავას ბასა ჯანიკაშვილის გინებაზე 24 სექტემბრის გადაცემაში.

„ჩვენ”

„ჩვენ” მაესტროს თოქშოუა, რომელიც შაბათობით საღამოს 11 საათზე გადის და მისი წამყვანია თამარ ჩიქოვანი. თითოეულ გადაცემას მხოლოდ ერთი სტუმარი ჰყავს და გადაცემის ფორმატი წამყვანსა და სტუმარს შორის დიალოგს ითვალისწინებს.

მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) მაესტროზე „ჩვენ”-ის 3 გადაცემა გავიდა, რომელთა ხანგრძლივობა საშუალოდ 45 წუთი იყო.

თოქშოუში განხილული იყო შემდეგი თემები:

- არჩევნების გაყალბების შესაძლო მეთოდები,
- სოციოლოგიური კვლევები,
- მდგომარეობა ქართულ ციხეებში.

მონიტორინგის პერიოდში გასულ 3 გადაცემაში შემდეგი რესპოდენტები სტუმრობდნენ: ზაქარია ქუცნაშვილი (კოალიცია ქართული ოცნება), იაგო კაჭაჭიშვილი (სოციოლოგი) და თეა წულუკიანი (კოალიცია ქართული ოცნება). გადაცემების თემებიდან და სტუმრების უმეტესობიდან გამომდინარე, თოქშოუ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ განწყობას ატარებს.

გადაცემა „ჩვენ“ წარმოადგენს დიალოგს გადაცემის წამყვანსა და სტუმარს შორის, რომლის დროსაც წამყვანი ძირითადად არ ცდილობს, ოპონირება გაუწიოს სტუმარს განსხვავებული პოზიციიდან. მისი კითხვები არ არის კრიტიკული და მომთხოვნი. ურნალისტი ზოგჯერ უბრალოდ მოდერატორია და ღიად არ ცდილობს დააფიქსიროს თავისი პოზიცია. თუმცა, მაგალითად, 8 სექტემბრის გადაცემაში ზაქარია ქუცნაშვილთან საუბრისას იგრძნობა, რომ წამყვანი ეთანხმება სტუმრის პოზიციას. ხოლო 22 სექტემბრის გადაცემაში, სადაც საუბარია პატიმრების წამების თემაზე და მდგომარეობაზე ქართულ ციხეებში, წამყვანის პოზიცია და მისი

ნებატიური დამოკიდებულება მომხდართან მიმართებაში აშკარაა. აგრეთვე ისიც, რომ მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს:

„ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელს სხვადასხვაგვარი რეაქცია ჰქონდა. ნუ ყველა გმობს, მაგრამ იყო ნათქვამი, რომ რა ცუდია, რომ არ მივაქციეთ ყურადრება, როდესაც, ვთქვათ, სადღაც იწერებოდა ამის შესახებ და ჟურნალისტები ამბობდნენ. ვიღაცისთვის საერთოდ მოულოდნელი აღმოჩნდა და შოკშია. თუნდაც ასე იყოს, რომ დავიჯეროთ. თუმცა, საზოგადოებას ისეთი განწყობა აქვს, რომ ყველას ტელეფონი ისმინება და ყველამ ყველაფერი იცის, ხელისუფლებას ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს. ასე რომც იყოს, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი გულგრილობის ან იმის გამო, რომ არ იცოდი, შენ არავითარი პასუხისმგებლობა არ გენიჭება ასეთ სიტუაციაში? კარგი, დავიჯერე, რომ არ იცოდი, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი, რომ გამოხვიდე, არა.” (22 სექტემბერი) ჟურნალისტი თითქოს კითხვით მიმართავს თეა წულუკიანს, მაგრამ ის უბრალოდ კითხვის დასმით კი არ შემოიფარგლება, არამედ მსჯელობს უარყოფით კონტექსში და საუბრის ინტონაციითა და ჟესტიკულაციითაც გამოხატავს საკუთარ პოზიციას.

გადაცემის წამყვანი სტუმრებს არ აწყვეტინებს საუბარს და იშვიათად ეძიება. ჩაძიების დროსაც თითქოს მისი კრიტიკული დამოკიდებულება იკვეთება ხელისუფლების მიმართ.

მაგალითად, 8 სექტემბრის გადაცემაში, როცა ქუცნაშვილი საუბრობს იმაზე, რომ თიანეთში 300 არაგველის ქუჩის მოასფალტებისთვის გამოიყო 270 ათასი ლარი და დღემდე არ არის ის ქუჩა მოასფალტებული, როცა ის აგვისტოში უკვე მზად უნდა ყოფილიყო, ჟურნლაისტი ეძიება: „ანუ ეს ფულიც სადღაც წავიდა და წინასაარჩევნო რაღაცეებს მოხმარდა?“ (8 სექტემბერი)

სტუმრების მიმართ ჟურნალისტი საკმაოდ კეთილგანწყობილია. ხშირ შემთხვევაში ისინი ერთ აზრს იზიარებენ დღის მთავარ თემასთან მიმართებაში. თემიდან გადახვევები მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირებულა.

ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის ან შეურაცხმყოფელი/დამამცირებელი ფრაზების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. თამარ ჩიქოვანი უფრო მოზომილ შეფასებებს აკეთებს და არ იყენებს არაკორექტულ გამონათქვამებს.

კავკასია

კავკასიაზე მონიტორინგი უკეთდება სამ თოქშოუს. ესენია: „სტუდია სპექტრი“, წამყვანი დავით აქუბარდია, „ბარიერი“, წამყვანი ალექსანდრე ელისაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მონაცვლეობით სამი სხვადასხვა წამყვანი ჰყავს, ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი;

დავით აქუბარდია თავის გადაცემაში რეგულარულად აფიქსირების თავის პოზიციას და პოლიტიკურ სიმპათიებს. ძალიან აქტიურობს გადაცემის მსვლელობისას და ხშირად შედის პოლემიკაში სტუმართან, თუ მას განსხვავებული აზრი აქვს. თუმცა, თუ სტუმარი იზიარებს იგივე მოსაზრებებს რასაც წამყვანი, აქუბარდია აძლევს მას საშუალებას თავისუფლად ისაუბროს პირდაპირ ეთერში და ბოლომდე დააფიქსიროს თავისი აზრი. ასევე, ხშირია ჟურნალისტის მხრიდან შეურაცხმყოფელი ფრაზები და სიძულვილის ენა ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლების მიმართ. გადაცემებში, სადაც პატიმრების წამებასთან დაკავშირებული თემები განიხილებოდა, აქუბარდიას ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამძაფრდა. გადაცემებში „ბარიერი“ და „ცხელი ხაზი“ სტუმრების პოლიტიკური ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია. ორივე გადაცემაში, „ბარიერი“ და „ცხელი ხაზი“, ელისაშვილი

ხშირად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს, ხშირად ირონიულად და ცინიკურად მოიხსენიებს ხელისუფლებას და მმართველ გუნდს. წამყვანი უფრო მეტად მომთხოვნია ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა პატიმრების ციხეში წამების ფაქტების გახმაურების შემდეგ. უურნალისტი ხშირად ახმოვანებს გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რომელსაც როგორც ფაქტს ისე აწვდის მაყურებელს.

აღსანიშნავია, რომ „ცხელი ხაზის“ დანარჩენი ორი წამყვანი, ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე, უმეტესად მოდერატორის როლს ასრულებენ და თავის შეხედულებებს აშკარად არ აფიქსირებენ.

„სტუდია სპექტრი“

„სტუდია სპექტრი“ კავკასიის თოქშოუა, რომლის წამყვანია დავით აქუბარძია. თოქშოუ 3-4 ნაწილისგან შედგება და თითოეულში სტუდიაში თითო სტუმარია მოწვეული. გადაცემის მსვლელობისას პირდაპირ ეთერში ხდება მაყურებლების სატელეფონი ჩართვებიც.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „სტუდია სპექტრის“ 20 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 1 საათი 30 წუთი გრძელდება.

სექტემბერში „სტუდია სპექტრი“ შემდეგ თემებს შეეხო:

- არჩევნები (პარტიების საარჩევნო სიები),
- ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები წინასაარჩევნოდ,
- კოალიცია ქართული ოცნება,
- NDI-ს კვლევები,

- უცხოელი მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტი საქართველოში,
- მედია,
- მაესტროს დაყადაღებული თეფშები,
- ქართველი ემიგრანტები,
- ბაგრატის ტაძრის კურთხევა,
- პატიმრების წამება საქართველოს ციხეებში,
- სტუდენტური აქციები,
- ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით,
- ნაციონალური მოძრაობის 28 სექტემბრის ყრილობა,
- წინასაარჩევნო დარღვევები ნაციონალური მოძრაობის მხრიდან და სხვა.

19-21 სექტემბრის გადაცემები შეეხო ციხეებში პატიმართა წამების თემას, ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეო მასალას, მთავრობის პასუხისმგებლობასა და სტუდენტურ აქციებს.

რაც შეეხება თოქშოუში მოწვეულ სტუმრებს, პოლიტიკური პარტიები ნაკლებად დაბალანსებულად იყვნენ წარმოდგენილი. ძირითადად, პოლიტიკოს სტუმრებს შორის ჭარბობდნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები. მხოლოდ ორ გადაცემაში, 13 და 17 სექტემბერს, სტუმრად იყვნენ ქრისტიან-დემორკატიული გაერთიანების წევრები. 10 და 21 სექტემბერს გადაცემას სტუმრობდა პეტრე მამრაძე (ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის), 27 სექტემბერს კი აკაკი ასათიანი (თავისუფალი საქართველო). „სტუდია სპექტრის“ სტუმრები ასევე იყვნენ: ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები, უფლებადამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა. არავინ იყო წარმოდგენილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გადაცემის თემა

მათ ეხებოდა. თუმცა, გადაცემის წამყვანი აღნიშნავს ხოლმე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მის გადაცემაში მონაწილეობას არ სთანხმდებიან.

„დღეს დილიდან ვურეკავდი ნაც. მოძრაობის პრესცენტრს. ძალიან მინდოდა ვინმე მოსულიყო ნაცისტებიდან. სხვათა შორის მინდა, რომ ითვლიან და რაღაცა მონიტორინგს რომ გვიტარებენ... ყოველ დღე ვურეკავთ ჩვენ მათ. აგერ არის ჩემი პროდიუსერი, აგერ დაგვემოწმება. და ნუ არ ვიცი, აგერ ვანიჩკას კითხეთ, ალბათ ჩაიწერდა მაგის კანტორა. ყველა ჩვენს საუბარს ისმენენ და ისა... ყოველ დღე ვთხოვთ რომ მოვიდნენ.“ (28 სექტემბერი)

თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ „რავიცი თუ მოვლენ ძალიან გამიხარდება, თუ არ მოვლენ და დიდი დანაკლისი არ იქნება საქართველოსთვის, იმიტომ რომ რვა წელი იყვნენ და დაპირების მეტი მე მაგათგან არ მინახია და არც თქვენ მემგონი.“ (24 სექტემბერი)

გადაცემის ფორმატი თავისუფალია. დიალოგი მიმდინარეობს არა კითხვა-პასუხის რეჟიმში, არამედ ორივე მხარე (წამყვანი და სტუმარი) უბრალოდ ცვლიან აზრებს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს. გადაცემის წამყვანი რეგულარულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს: მის უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლებისადმი და კეთილგანწყობას ოპოზიციის მიმართ. აქუბარდიას საუბრიდან ნათელია, რომ მას არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლება და ხშირად აკრიტიკებს მას. იყენებს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ვანიჩკა“, „მიშისტები“ და ა.შ. სამთავრობო უწყებებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას უწოდებს „კანტორებს“. ხშირად იყენებს სიტყვა „საბჭოთა“-ს უარყოფითი შეფასებისთვის: „საბჭოთა ხელისუფლება“, „საბჭოთა პოლიცია“, „საბჭოთა საქართველო“. იგი ასევე არ მალავს თავის სიმპათიებს სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერების თუ წევრების მიმართ.

უმეტესად, აქუბარდიას გადაცემაში ისეთი ადამიანები ჰყავს სტუმრად, რომლებიც მისთვის მისაღებ მოსაზრებებს გამოთქვამენ, წამყვანი ძირითადად ეთანხმება მათ, აცდის აზრის გამოთქმას ბოლომდე და მათდამი დამოკიდებულებაც დადებითია. საუბარი ძალიან „შინაურულად“ მიმდინარეობს.

მაგალითად, 28 სექტემბრის გადაცემაში აქუბარდიამ პირდაპირ გაუმჯდავნა თავისი სიმპათია და წარმატებებიც უსურვა ვახტანგ ხმალაძეს (კოალიცია ქართული ოცნება) არჩევნებში:

„დიდი მადლობა. წარმატებებს გისურვებ პერსონალურად შენ, ჩემო ვახტანგ. ჩემი და ვახტანგის [მეორე სტუმარი ვახტანგ ძაბირაძე, პოლიტიკის ექსპერტი და საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი] საერთო სურვილია, რომ შენ იჯდე იქ, პარლამენტში და დომინოს თამაში არ შედგეს იქა.“

წამყვანი თავის სიმპათიას გამოთქვამს სტუდენტების მიმართაც 25 სექტემბერს და არ მალავს თავის აღფრთოვანებას მათი საპროტესტო აქციების მიმართ.

„მე მინდა გითხრათ და გულწრფელი ვარ. ჩემთვის, მაგალითად, ამ წელიწადს, ყველაზე ბედნიერი წუთები გავატარე თქვენთან ერთად. არა, მე ემოციებით არ ვლაპარაკობ. მართლაც ტკბილზე ტკბილი იყო ის წუთები. თქვენს კოლონას მივყვებოდი მე პირველი არხიდან იმ საზიზღარი მოდულის შენობამდე. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი იმიტომ, რომ ყველას საუბარი მესმოდა. ფანჯრები ღია მქონდა და ბედნიერები იყავით ყველა. იცით, ასეთი ბედნიერება მე არავის სახეზე არ მინახია. მშურს თქვენი გულწრფელად გეუბნებით. აღფრთოვანებული ვარ თქვენით და დაველოდოთ ჭორიკანა ისტორიას რას დაწერენ თქვენზე“.

ჟურნალისტის ჩართულობის დონე გადაცემაში დამოკიდებულია მოწვეულ სტუმარსა და სასაუბრო თემაზე. არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი თითქმის არ ერთვება გადაცემაში, სრულ თავისუფლებას აძლევს სტუმარს და აძლევს

საშუალებას მხოლოდ მან ისაუბროს. არის პირიქითაც, როდესაც აქუბარდია არ აცდის სტუმარს საუბარს და გადაცემის დიდი ნაწილის განმავლობაში თავად საუბრობს. შეიმჩნევა, რომ ეს უფრო დამოკიდებულია სტუმრის განსხვავებულ მოსაზრებებზე, რომლებიც არ ემთხვევა წამყვანის შეხედულებებს. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტი უპირისპირდება სტუმარს, არ აცდის საუბარს, გამოხატავს მის საწინააღმდეგო მოსაზრებებს.

ასე მოხდა 3 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც სტუმარი, სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე, ამართლებდა ხელისუფლების ნაბიჯებს ლოპოტას ხეობის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით. წამყვანი აქტიურად შევიდა მასთან პოლემიკაში.

„ვის უნდა ვენდოთ გიორგი? წარა-მარა იტყუებიან.“

„გიორგი, რას ამბობთ კაცო, ყველა მღვდელი ყავთ აღრიცხვაზე და მოლებს ვერ შეამოწმებენ?“

იგივე მოხდა 20 სექტემბრის გადაცემაშიც, როდესაც ეკა კვესიტაძე (პირველი არხის ჟურნალისტი) ჰყავდა სტუმრად. ნახევარი გადაცემის განმავლობაში აქუბარდია საუბრობდა, ხშირად აწყვეტინებდა საუბარს სტუმარს და აზრის დამთავრებას არ აცდიდა: „არა ხართ ეკა სწორი“, „ტენდენციური იყავით ეკა, ჩასაფრებული ჟურნალისტი“.

აღსანიშნავია, ასევე, 3 სექტემბრის გადაცემა, სადაც სტუმრები იყვნენ მიხეილ თავხელიძე (კოალიცია ევროპული საქართველოსთვის) და კახა კახიშვილი (საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი). აშკარა იყო წამყვანის მხრიდან არათანაბარი დამოკიდებულება სტუმრების მიმართ. ადვილი შესამჩნევი იყო აქუბარდიას ირონიული დამოკიდებულება მიხეილ თავხელიძის მიმართ.

დავით აქუბარდია: „ლაზიკის მერი გახლავთ ჩვენი სტუმარი, მიშა თავხელიძე.“

ხშირად აწყვეტინებდა მას საუბარს რეპლიკებით: „არ არსებობს, გაჩერდი ახლა“, ან „კაი მიშა, შეეშვი ახლა მაგას“. ამასთან, წამყვანი უფლებას აძლევდა მეორე სტუმარსაც გამოეხატა თავისი მსგავსი დამოკიდებულება თავხელიძის მიმართ.

გადაცემის წამყვანი ძირითადად ძალიან აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და, მიუხედავად იმისა, რომ კითხვებს ნაკლებად სვამს, საკუთარ მოსაზრებებს ხშირად აფიქსირებს, რომლებიც ხშირად ირონიული და ძალიან უარყოფითი შინაარსით გამოირჩევა ხელისუფლების მიმართ.

მაგალითები:

„ყველაზე მძიმე, მართლა ტლანქი, ჩემი აზრით ტლანქი, უხეში ძალადობა გამოავლინა აპარატმა, როდესაც ბიძინა ივანიშვილს არ მისცა მოქალაქეობა. აი, წესით ეხლა უნდა მისცენ მოქალაქეობა.“ (6 სექტემბერი)

11 სექტემბრის გადაცემაში აქუბარდიას რეპლიკა მასთ ქერისთან დაკავშირებით ასეთი იყო: „მასთ ქერი რიჟა ბაზარია.“

14 სექტემბერს სტუმარმა ლადო პაპავამ (ექსპერტი) ისაუბრა ოფიციალური ვიზიტით მყოფ სტუმრებზე და მათ შეფასებებზე. ამაზე კომენტარი გააკეთა აქუბარდიამ: “ვინც არ ჩამოდის ხოლმე, კომიკური სიტუაციაა, ჩამოდიან და აი, თქვენ წარმატების გზაზე დგეხართ დემოკრატიის და ჩამოთვლიან, აი, კორუფციას შეებრძოლეთ. ნუ როდესაც კეზერაშვილი ბუნებაში არსებობს კიდევ, როგორ შეიძლება კორუფციასთან ბრძოლის წარმატებაზე ვისაუბროთ? დღეს კიდევ მიშა რომ აბოლებდა, შევთანხმდეთო. ვის უნდა შეუთანხმდე, ბენზინზე მონოპოლიური ფასები გაქვს, შაქარზე მონოპოლიური ფასები გაქვს, მარილს შენი მინისტრი იმპორტირებას ეწევა. არ ვიცი ლადო, რატომ არიან ესეთი უცნაურები.“

19 სექტემბრის გადაცემაში აქუბარდიამ აღნიშნა, რომ „შსს-მ ერთხელ კამერა წაგვართვა ერთ-ერთ აქციაზე და ამაზე დღემდე არავითარი რეაგირება არ ყოფილა“ და დაამატა:

„პროკურატურა ქალიშვილივით გადაეფარა შინაგან საქმეთა სამინისტროს.“

21 სექტემბერი: „დღეს ფარისევლობის ილუსტრირება იყო მიშა სააკაშვილის გამოსვლა. მოიყვანა ეტალონად ეს ტულუში და ეს ზღულაძე. მადამ ზღულაძე და რაღაცა... აი, სისულელების კორიანტელს აფრქვევდა.“

გადაცემის წამყვანი ზოგჯერ არა მხოლოდ საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს აფიქსირებს, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ დასკვნებს აკეთებს საკუთარ ლოგიკაზე დაყრდნობით.

„დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო იცნობს აი, ამ პროგრამას - აგრარულ პროგრამას და ყველაზე რევოლუციური, დემოკრატიული და პატრიოტული პროგრამა, ჩემი სუბიექტური აზრია და გინდა მიჩივლეთ და გინდა არა, აქვს „ქართულ ოცნებას“. გულწრფელად გეუბნებით. თუკი რაიმე სერიოზული დოკუმენტია დადებული „ქართულ ოცნებას“ აქვს. მე მჯერა, რომ ეს პროგრამა სიცოცხლის უნარიანი იქნება და თუკი „ნაც. მოძრაობა“ დაემშვიდობება უმრავლესობას პარლამენტში და უმრავლესობა გახდება „ქართული ოცნება“ აი, ამ პროგრამის რეალიზებით ქვეყანას ე-შვე-ლე-ბა!!“ (18 სექტემბერი)

თოქშოუ „სტუდია სპექტრის“ წამყვანი დავით აქუბარდია ხშირად იყენებს სალანდავ, შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ფრაზებს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. მისთვის ჩვეულია შემდეგი ფრაზები: „იდიოტობა“, „ქაჯობა“, „კრეტინი“, „სადისტი“ და ა.შ

მაგალითები:

„ხვალ აწყობს ნაცმომრაობა ...11 ქალაქში ყრილობის ჩატარება არ გამიგია. ეს ხო არის აი... პარანოიასთანა გვაქ საქმე. 11 ქალაქში ერთდროულად როგორ შეიძლება ყრილობის ჩატარება?“ (7 სექტემბერი)

„ეს ბარამიძე ვინ ყოფილა კაცო, რეებს ბოდიალობდა იქ საწყალი.“ (10 სექტემბერი)

„ყველა ქეციანი და მაპატიეთ და დვარნიაშვა ჩინოვნიკებიც კი ძვირფას მანქანებში ზიან, და ეს დეგრადაციაა მეტი არაფერია.“ (10 სექტემბერი)

„ეხლა ვეძებ ოქმებს, იცით რა სიბინძურე ხდება კომისიებში?! პარტიები იყიდებიან უკანასკნელი მეძავებივით.“ (10 სექტემბერი)

„ბედოვლათი პარლამენტის თავმჯდომარე“ (20 სექტემბერი)

„ტუღუში, მაპატიეთ რა ღმერთო, ვიცნობ ამ ბიჭს, უხერხემლო ვიღაცაა რა. აი ზღულაძეც არარაობაა.“ (21 სექტემბერი)

„ნაძირალა, გველის წიწილი [ციხის ზედამხედველები].“ (21 სექტემბერი)

აღსანიშნავია, რომ 18 სექტემბრის გადაცემაში წამყვანის ქცევა სრულიად განსხვავდებოდა მისი ჩვეული სტილისგან. ამ გადაცემაში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა აჩვენა პირდაპირ ეთერში, რომელიც თვითონვე პირველად იმ წუთებში ნახა. ამ მასალის ჩვენების შემდეგ იგი შედარებით აგრესიული გახდა და უმატა შეურაცხმყოფელ გამოთქმებსა და სიძულვილი ენის გამოყენებას.

„მაპატიეთ რა, მაგრამ ბევრი ჰომოსექსუალისტი მუშაობს თურმე ციხეებში, როგორ შეიძლება?!“

„ვის ხელში ვართ ამათი დედა ვატირე მე რა, ესენი ვინ არიან კაცო?! მალადეც როლანდ ახალაია, მაგარი ბიჭი გაუჩინე ქვეყანას. შენი დამპალი დედა მოვ...ან! რა არის ესა კაცო, ესენი გიჟები არიან მართლა?!“

წამყვანი იმდენად აღაშფოთა ნანახმა, რომ გადაცემა დროზე ადრე დაასრულა.

„შემზარავი კადრები იყო, მე აღარ შემიძლია საუბარი. ვახო, მოდი რა დავამთავროთ საუბარი. მე არ ვიცი, ბარიერში რაღაცა სტუდენტობაზე იქნება საუბარი. მე თუ მკითხვათ, ყველაზე საშინელი აი ამ 8 წლის მანძილზე, მე აი, ეს კადრები რო ვნახე, ეს იყო და აღარ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება!“

სტუმრების მიერ მსგავსი ტიპის ფრაზების გამოყენებაზე წამყვანი ან იცინის, ან აგრძელებს მათ მიერ დაწყებულ ნათქვამს. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც უურნალისტმა მოუწოდა რესპონდნტენს კორექტულობისკენ.

როდესაც 7 სექტემბერს გადაცემაში სტუდიაში დარეკა რეზო ამაშუკელმა და თქვა: „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: თავიდან ვუთხარი მე საქართველოს როცა ხელისუფლებაში არ იყო ეს ჯიბის გიტლერი სააკაშვილი. მაშინ ვინ დამიჯერა მე? არავინ არ დამიჯერა. ეხლა გაფრთხილებთ. ფრთხილად იყავით და დააკვირდით ამ გალსტუკიან ხვლიკს“, აქუბარდიამ სთხოვა მას, რომ ასეთი სიტყვები არ გამოეყენებინა ეთერში, რადგან „რაღაც კანონი შემოუღიათ“-ო.

რაც შეეხება გადაცემის თემის გამოცხადებას და შემდეგ მის მიყოლას, აქუბარდიას იშვიათად აქვს თემა წინასწარ დაანონსებული და საუბრის მთავარი საგანი თავად გადაცემის მსვლელობის დროს იკვეთება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წამყვანი წინასწარ აცხადებს გადაცემის მთავარ თემას საუბარი ხშირად ცდება მას და სხვა მიმართულებას იღებს.

სხვადასხვა თემაზე საუბრისას წამყვანი საკმაოდ იშვიათად ასახელებს ინფორმაციის წყაროს და ხშირად საუბრობს ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთა წარმომავლობასაც არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, იგი ამ ინფორმაციას როგორც ფაქტს ისე აწოდებს მაყურებელს.

მაგალითები:

„NDI-ს თავმჯდომარეს თუ მოადგილეს 500 ათას დოლარს უხდიან თურმე“. (3 სექტემბერი)

4 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი საუბრობს სამტრედიაში მომხდარ ინციდენტზე: „მართლა ბოქსიორები ჩაუყვანიათ იქა ავტობუსებით და იქ ცხოვრობენ ეხლაც თურმე. და ცემეს იმ ბოქსიორებმა ქართული ოცნების ხალხი.“

„ქართული ოცნების ოფისთან ვინც მანქანას დააყენებს გავა თუ არა პატრული დაედევნება და 100 ლარიან ჯარიმას უწერს, იქ დგომაზე თურმე სანქციაა, აჯარიმებენ ტოტალურად.“ (4 სექტემბერი)

„აგდებენ სამსახურიდან ხალხს, ვითომც არაფერი... ყველამ იცის, რომ ეს ე.წ. ეროვნული უნივერსიტეტი ვისი კალთის ქვეშაცაა. ყველამ იცის, რომ ეს უგულავს კალთის ქვეშაა.“ (11 სექტემბერი)

„მერია აპირებს მონოპოლისტური რაღაცა კანტორის შემოყვანას ვინც ჩამოიყვანს ტაქსებს. დაიქირავებენ ამ ტაქსის ბეჩავ მძღოლებს და ამუშავებენ.“ (13 სექტემბერი)

„ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვიტარებაა ტყიბულში. მე რაც ვიცი მოსახლეობის 10% ია სულ დასაქმებული.“ (13 სექტემბერი)

21 სექტემბრის გადაცემაში აქუბარდია საუბრობს შაშვინზე და იხსენებს იმ დროს, როდესაც ის სასჯელაღსრულების მინისტრი იყო: „სხვათაშორის, თურმე იქა აი, პრავადნივსაც ვერ მოხსნიდა თურმე. ისიც თოჯინასავით მჯდარა“.

”ბარიერი”

„ბარიერი” კავკასიაზე ყოველ სამშაბათსა და პარასკევს საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე გადის. მისი წამყვანები მონაცვლეობით არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი. გადაცემას დებატების ფორმატი აქვს, სტუდიაში მოწვეულია რამდენიმე სტუმარი, რომლებიც ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „ბარიერის” 8 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 1 საათი და 20 წუთი გაგრძელდა.

სექტემბერში გადაცემაში შემდეგი თემები იყო განხილული:

- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემოს შეფასება და მოსალოდნელი შედეგები),
- პარტიული სიები,
- საერთაშორისო ორგანიზაციები,
- ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრების და ამერიკელი სენატორების ვიზიტი საქართველოში,
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ტურნე მთელი ქვეყნის მასშტაბით,
- NDI და სოციოლოგიური კვლევები,
- პატიმართა წამება ციხეებში,
- ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით და სხვა.

18 და 21 სექტემბრის გადაცემები დაეთმო პატიმრების ციხეში წამების მასალების გამოქვეყნებას და ამ ფაქტებზე ხელისუფლების მხრიდან მომხდარ რეაგირებას.

მონიტორინგის პერიოდში ”ბარიერში” მოწვეულ სტუმრებს შორის პოლიტიკური ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცული იყო. გადაცემას სტუმრობდა როგორც ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი სტუმრები, ოპოზიციური

პარტიები - კოალიცია ქართული ოცნების, ლეიბორისტული პარტიისა და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების წარმომადგენლები.

ამ კუთხით აღსანიშნავია 4 სექტემბრის გადაცემა, რომელიც პარტიის სიებსა და ახალ სახეებს შეეხებოდა, და მასში ოთხი პარტიის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ქართული ოცნება, ლეიბორისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

სხვა სტუმრებს შორის კი იყვნენ: ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები, არასამთვრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მედიის წარმომადგენლები და სხვა.

იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემის წამყვანის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები არ დასთანხმდნენ მას გადაცემაში მონაწილეობას, შესაბამისად მოწვეულ სტუმრებს შორის დებატებს ადგილი არ ჰქონია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით სექტემბერში გადაცემას უმეტესად ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად და უარყოფითად განწყობილი რესპონდენტები სტუმრობდნენ. წამყვანი უმეტესად არ ცდილობდა ოპონირება გაეწია მათვის. ძირითადად არ ეძიებოდა დამატებითი კითხვებით, ვინაიდან დიალოგი ისედაც ძალიან თავისუფალ სტილში მიმდინარეობდა და ყველა სტუმარი ვრცლად და ამომწურავად საუბრობდა. ხშირად, თავად ჟურნალისტი აქტიურად ერთვებოდა ხოლმე დისკუსიაში საკუთარი მოსაზრებებით და ღიად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას, რომელიც უმეტესად ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველი და ირონიული იყო.

მაგალითები:

აღეკო ელისაშვილი: „ყადაღა დიდი ხანია, აგერ უკვე ორი კვირაა აღარ გაგვიგია. ნათია მოგელაძის მძვინვარებას მგონი ლაგამი ამოედო ამ დასავლური დესანტის გამოისობით. ჯარიმებიც კი არ აღასრულა.” (14 სექტემბერი)

იგივე გადაცემაში ელისაშვილი მიმართავს სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილს: „ბატონ იაგოს მინდა კიდევ ვკითხო: ერთი დიდი ეროვნული გაუგებრობა არის სოციოლოგიური კვლევები. დიიდი ეროვნული გაუგებრობა არის ეს. გამოვა ერთი კაცი ლუის ნავარო, რაღაცას გამოიტანს ისეთს, რომ საოცარს. იქ რომ ბირჟაზე ჩაცუცქული ძირითადად ლაპარაკობენ პოლიტიკაზე. 50% ესა და რაღაცა გაუგებარი კითხვები იყო. შედეგებია ისეთი, საოცარი. გამოვა მეორე ჯგუფი სულ სხვა შედეგებია. გამოვა მესამე ჯგუფი... რამდენიმე დღის წინ იყო გერმანული კომპანია ფორსა, რომელმაც აბსოლუტურად განსხვავებული შედეგები დადო. თუ ლუის ნავარომ 12% გაიმეტა, ამ გერმანელებმა 49% გაიმეტეს ქართული ოცნებისთვის. მოკლედ არის ერთი დიდი გაუგებრობა.”

25 სექტემბერს წამყვანმა თავისი აზრი დააფიქსირა გოგა ხაინდრავას და კანონიერი ქურდების შეხვედრის ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნების შესახებ: „მე მაგალითად ვითხოვ, რომ პროკურატურამ გადმოგვცეს ფრანგული ორიგინალი. ან ფრანგულმა მხარემ გადმოგვცეს ქართულ მედიას, რომ ჩვენ თვითონ ვთარგმნოთ, მე არ ვენდობი ამათ“

28 სექტემბრის გადაცემაში ისევ ელისაშვილი ისევ შეეხო სოციოლოგიური კვლევების თემას: „ესე იგი, ჩვენთან დღეს ეს სოციოლოგიური კვლევა ხო ისეა, სრულიად სამართლიანად გაბაიბრუებული. იმიტო რო მოდი და ენდე ეხლა, ხან რას გეტყვიან, ხან რას. ეს ლუის ნავარო ხო ქოსატყუილას გუდას მოიტანდა ხოლმე და ჩამობერტყავდა და იტყოდა რო შიშის ფაქტორი არ არის საქართველოში. სად არის

შიშის ფაქტორი?! აი, შიშის ფაქტორი. აი, ნახოს ერთი დილა-საღამოს ის კადრები ლუის ნავარომ და მერე მოგვიყვეს კიდე ის ზღაპრები, ამერიკული ხალხური ზღაპრები.“

21 სექტემბრის გადაცემაში, სადაც განიხილებოდა ციხეში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, ალეკო ელისაშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოჩნდა. კითხვები შეიცავდა დაუფარავ კრიტიკას ხელისუფლებისადმი. ჟურნალისტი საკითხს განიხილავდა ცალმხრივად, გადაცემაში არ ჰყავდა წარმოდგენილი ორი მხარე და მოვლენას მხოლოდ ცალსახად აფასებდა. არ უწევდა ოპონირებას გადაცემის არც ერთ სტუმარს, პირიქით, ეთანხმებოდა მათ და სტუმრებისგან განსხვავებით თავად აქტიურად იყენებდა სიძულვილის ენას. ვერ მალავს თავის აღშფოთებას მომხდარისადმი და გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას პრეზიდენტისადმი.

წამყვანი იმასაც აღნიშნავს, რომ იცის მედიამონიტორინგის არსებობის შესახებ და სმენია მისი კრიტიკის თაობაზეც, თუმცა, მიუხედავად, ამისა მაინც ვერ იკავებს თავს საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირებისა და სიძულვილის ენის გამოყენებისგან.

„მონიტორინგი მიდის და მერე მაკრიტიკებენ ხოლმე, დრო და დრო, რაებს იძახის, სუბიექტური აზრები... მაგრამ მაკრიტიკეთ, ჩემო ბატონო, ეს მაინც უნდა ვთქვა: ხვალ, მივალ მე ფილარმონიასთან 5 საათზე, აუცილებლად. იქ აქცია იმართება და, კიდევ ერთხელ, სააკაშვილი ეხლა ცდილობს ყურადღების გადატანას, ახალი შენობების გახსნას. რაღაცა საკენკს გვიყრის ვითომ იქ ვიღაცები... პუტინი მოვიდა და აქ ვიღაცებს ფული გადაუხადა და ძალით აწამებინა ეს ხალხი. მაგრამ ასეთი საკენკისა სჯერა ალბათ იმ კაცს ზუგდიდში რომ ეძინება და არ აცდიან ძილს. ამდენად, მისთვის გაიმეტოს ეს საკენკი. მე ვარ მოქალაქე, პირველ რიგში, ამ ქვეყნის და ორი შვილის მამა, ჯერჯერობით ორი შვილის მამა, და მოვითხოვ, დღესაც მოვითხოვ, ხვალაც მოვითხოვ, სადისტი, საყოველთაოდ ცნობილი სადისტი,

ჯალათური და ავადმყოფური სისტემის შემქმნელი პენიტენციალურ სისტემაში ბაჩო ახალაია დააპატიმრონ აუცილებლად, სასწრაფოდ. თუ ეს ხელისუფლება კიდევ რაღაც-რაღაცებზე ფიქრობს. ამდენად, მოვითხოვ დღესაც და მოვითხოვ წვალაც, რომ ეს ავადმყოფი კაცი, ეს სადისტი და მანიაკი კაცი რომ ჯერაც თავისუფალია, ეს არის უზარმაზარი საკაცობრიო ცოდვა!“

„საინტერესოა, რომ იქ ერთი კაცი ცხოვრობს ზუგდიდში [როლანდ ახალაიას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი, ბაჩო და დათა ახალაიების მამა], ძილს რომ არ აცლიან იმ კაცს, ისეთი მამულიშვილები გაზარდა, ისეთი მამულიშვილები, რომ აქვს უფლება ტკბილად ეძინოს. ეს მაიმუნი ჟურნალისტები მიდიან და ძილს არ აცლიან. მთელი საქართველო ვერ იძინებს იმის გამო, რომ ამ კაცმა ასეთი შვილები გაზარდა და ამ კაცს ეძინება მაინც და მაინც. სამი საათი მეძინა ალბათ დღე-ღამის განმავლობაში გადაბმულად და იქაც კოშმარებში ან მაწამებდნენ ან ვაწამებდი ისეთ საშინელებაში ვიყავი და ამ კაცს ძილი არ აცალეს საღამოს 10 საათზე თუ 9 საათზე. როგორო, გაუტყაპუნა ჟურნალისტს და ისიც შერჩა ხახვივით.“

წამყვანი, უმეტეს შემთხვევაში, აქტიურად არის ჩართული გადაცემაში და ცდილობს ყველას მისცეს საკუთარი აზრისა და პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. თუ რომელიმე მხარე მეტს საუბრობს და არ აძლევს ოპონენტს აზრის დაფიქსირების საშუალებას, წამყვანი ერევა და აძლევს მეორე მხარეს სიტყვის თქმის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ წამყვანი უფრო მეტად მომთხოვნია ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. იგი უფრო ხშირად ეძიება და დამატებით კითხვებს უსმევს, თუ მათგან დამაკმაყოფილებელ პასუხს არ იღებს. არის შემთხვევები, როდესაც ის მათთან დებატებშიც შედის და არ აცდის აზრის დასრულებას.

11 სექტემბრის ბარიერი განსხვავებული გადაცემა გამოდგა. თავიდან ელისაშვილი კრიტიკულად მიუდგა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ სტუმარს, მიხეილ თავხელიძეს.

„არც მე მჯერა იმის, რომ კითხვა არ გესმის რომელსაც გისვამ და შეგნებულად ბანზე მიგდებ სიტყვას, ივანიშვილისკენ ისვრი. ბევრი ხალხი იყო თუ ცოტა, მეტს ელოდით თუ ნაკლებს ელოდით, აღტაცებული იყავით ხალხის იმ რაოდენობით რაც ნახეთ? აი, ამას გეკითხებით, ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე, ბიძინა ივანიშვილით არ დაიწყოთ!“

თუმცა, შემდეგ ეს მიდგომა შეწყვიტა და ასპარეზი მთლიანად ოპონენტებს დაუთმო, თვითონ კი აღარ ჩარეულა მათ ცხარე დებატებში. მიხეილ თავხელიძე, რომელიც ხელისუფლების ინტერესებს იცავდა, არ პასუხობდა წამყვანის და ოპონენტის, გიორგი მარგველაშვილის, შეკითხვებს და არგუმენტებს. იქცეოდა უპატივცემულოდ. ალეკო ელისაშვილი, ცდილობდა განემუხტა გადაცემაში შექმნილი ვითარება. თუმცა, თავხელიძემ გადაცემის ბოლოს ოპონენტს „უსინდისო“ უწოდა და გიორგი მარგველაშვილმა პროტესტის ნიშნად სტუდია დატოვა. აქ ჩაერთო გადაცემის წამყვანი და მშვიდად, თუმცა მკაცრი ტონით სტუმარს მოუწოდა ოპონენტისთვის ბოდიში მოეხადა,

„მიშა, მესმის, აღელდი და შეურაცხყოფა მიაყენე გიორგი მარგველაშვილს და შეგიძლია ბოდიში მოიხადო. მე მოგიწოდებ და გთხოვ, რომ გიორგი მარგველაშვილს, შენ მიაყენე შეურაცხყოფა და გაქვს შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში ეს გამოასწორო.“

ამაზე ჟურნალისტმა უარი მიიღო. წამყვანმა ვეღარ დამალა თავისი უკმაყოფილება და ეს აშკარად გამოხატა. ელისაშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის

მაქსიმალურად შეეცადა უპატივცემულობა არ გამოეხატა სტუმრის მიმართ და ეთიკის ფარგლებში მიმართა:

„ერთი თხოვნა მექნება, აი საჯაროდ და პირდაპირ ეთერში გეუბნები, თუ შეიძლება გადაცემაში მოდი ხოლმე, უფრო მეტი პატივი ეცი იმ ტელეკომპანიას სადაც მიდიხარ, პატივი ეცი მაყურებელს და პატივი ეცი ასევე წამყვანს, ამ შემთხვევაში მე, არაფხიზელ მდგომარეობაში ნურასოდეს ნუ მოხვალ და ჩემი თხოვნა იქნება, რომ შეურაცხყოფა არავის, და მითუმეტეს გიორგი მარგველაშვილს, არ მიაყენო. დღეს ჩვენი ეთერი ამით დამთავრებულია, კარგად ბრძანდებოდეთ.“

ასევე, აღსანიშნავია 18 სექტემბერს გასული გადაცემა, რომელმაც საკმაოდ ქაოტურ სიტუაციაში ჩაიარა. გადაცემა ეძღვნებოდა პატიმრების წამების ამსახველ ვიდეო კადრებს. მოწვეული 5 სტუმრიდან მხოლოდ თეა თუთბერიძე წარმოადგენდა განსხვავებულ აზრს, იგი საკმაოდ აქტიური იყო, არ აცლიდა სსხვებს საუბარს. მისი პოზიცია და ქცევა გადაცემის მსვლელობის პროცესში ყველა სტუმრისთვის და წამყვანისთვისაც მიუღებელი იყო. ამის გამო უურნალისტმა გადაცემის განმავლობაში რამდენჯერმე სთოვა მას დაეტოვებინა სტუდია თუკი არ შეეძლო მოსმენა. ბოლოს კი დაჟინებით სთხოვდა გადაცემის დატოვებას რაზეც უარი მიიღო.

„ძალიან სამარცხვინოა და ძალიან გთხოვთ დატოვოთ ეხლა სტუდია, ძალიან გთხოვთ დატოვოთ სტუდია, ძალიან გთოხვთ დატოვეთ სტუდია და ნუ მიყვირიხართ აქ, ნუ მიყვირიხართ აქ, ნუ მიყვირით ქალბატონო თეა და დატოვეთ სტუდია... ძალიან ვნანობ რომ მოგიწვიეთ გადაცემაში, ძალიან ვნანობ, გთხოვთ დატოვოთ სტუდია, გთხოვთ დატოვოთ სტუდია.“

გადაცემის მსვლელობის დროს გაუშვეს პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო, რომელშიც პატიმრის სახე არ იყო დაფარული და მისმა გვარმაც გაიჟღერა. წამყვანმა ამის გამო ბოდიში მოიხადა: „ბოდიშს გიხდით, რომ აი ესე დაუმონტაჟებლად,

გვარიც გაისმა და ამისთვის განსაკუთრებით ბოდიშს გიხდით. მარამ აი ესეთი რაღაცა, ძალიან უცნაურ რეჟიმში გვიწევს პირდაპირ ეთერში მუშაობა.“

კადრების გაშვების შემდეგ წამყვანს გაუჭირდა გადაცემის წაყვანა, რასაც თვითონაც აღნიშნავდა:

„ამ კადრებს რომ ვუყურე რაღაცა საერთოდ ლოგიკური აზროვნება დამეკარგა, სიმართლე რომ გითხრათ. იმიტომ რომ პირველად... არ ვიცი როდის ვიყავი ბოლოს ასეთი შოკირებული მე ეს არ მახსოვს, მთელი საღამოა ვცდილობ ემოციები მოვთოკო.“

წამყვანის კრიტიკული და უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ჩვეულებრივზე უფრო მეტი იყო. ამასთან წამყვანი ხშირად ამბობდა გადაუმოწმებელ ინფორმაციას და ამას როგორც ფაქტს ისე აწოდებს მაყურებელს.

„ბაჩო ახალაია პირადად აი, ასე აწამებდა პატიმრებს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ბაჩო ახალაია იყო ტონის მიმცემი, მაგალითის მიმცემი, ერთი წამით მაცალეთ ქალბატონო თეა [თეა თუთბერიძე]. თვითონ პირადად აწამებდა, ერთი წამით რა, თუ არ შეგიძლიათ მომისმინოთ ძალიან გთხოვთ დატოვოთ სტუდია... ძალიან შევცდი რომ მოგიწვიეთ...“

„ბაჩო ახალაია პირადად აწამებდა და ადრე თუ გვიან, ამას ყველა ჩურჩულით მიყვებოდა, ამას ყველა მეუბნებოდა ასე, ყველამ ეს ძალიან კარგად ვიცით... რეალურად იყო ეს სასჯელაღსრულების თავჯდომარე როცა იყო ახალაია პირადად აწამებდა და მეორე ამბავი, კალმახელიძეს არავინ არაფერს არ ეკითხებოდა არასოდეს. ჭავუა ვინც ეხლა გაათავისუფლა კალმახელიძემ, ის იყო ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი სასჯელაღსრულების სისტემაში დარჩენილი. და ჭავუა ასევე ბაჩო ახალაიაზე იყო პირდაპირი ხაზით მიერთებული და მის დირექტივებს ასრულებდა.“

კალმახელიძეს, როგორც მე არ მეკითხებოდნენ არავინ გლადნის ციხეში არაფერს, ასე არ ეკითხებოდნენ მას... სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას და ისევე გაირკვევა ეს ყველაფერი, სამწუხაროდ და ნათელი მოეფინება...“

„ცხელი ხაზი”

„ცხელი ხაზი” კავკასიის თოქშოუა, რომელიც ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს გადის საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე და მისი წამყვანები არიან ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე, დაჩი გრძელიშვილი და ნათია ორველაშვილი. ჩვეულებრივ, გადაცემაში ერთი ან ორი სტუმარია, ზოგჯერ 2-ზე მეტი.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიაზე „ცხელი ხაზის” 12 გადაცემა გავიდა, რომელთა ხანგრძლივობა საშუალოდ ერთი საათი და 15 წუთი იყო.

„ცხელი ხაზი” თავის გადაცემებში შემდეგ თემებსა და საკითხებს განიხილავდა:

- არჩევნები (ამომრჩეველთა სიები),
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სლოგანები,
- NDI-ის კვლევა,
- პოლიტიკური პარტიები და მათი წინასაარჩევნო კამპანია,
- საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები საქართველოში შექმნილ წინასაარჩევნო გარემოზე,
- პატიმრების წამება ციხეში,
- ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო უბნებზე ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით,
- ფარული ჩანაწერები - კომპრომატების ომი,
- სტუდენტური აქციები და სხვა.

„ცხელ ხაზში” წარმოდგენილნი იყვნენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები: კოალიცია ქართული ოცნება, ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება, ახალი მემარჯვენები და თავისუფალი საქართველო. თოქშოუს ასევე სტუმრობდნენ: ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცესკოს თავჯდომარე (ზურაბ ხარატიშვილი), მედიის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა. მიუხედავად გადაცემაში წარმოდგენილი სტუმრების მრავალფეროვნებისა, მონაწილეთა შორის ჭარბობს ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ადამიანები.

მთლიანობაში გადაცემა საკმაოდ დინამიურია. პირველი ბლოკი მთლიანად ჟურნალისტებს ეთმობათ, სადაც ისინი მიმოიხილავენ დღის აქტუალურ თემებს და ასევე გადაცემის მთავარ თემებს. არის აგრეთვე მაყურებელთა ზარები სტუდიაში და ჟურნალისტები ასახელებენ დღის ინტერაქტივის კითხვასაც. ამ ნაწილში ისინი აქტიურები არიან და ერთმანეთში საუბრობენ. გადაცემის შემდეგ ნაწილში შემოჰყავთ სტუმრები.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემები მიყავდა სამ წამყვანს: ალექსანდრე ელისაშვილს, ნათია ორველაშვილსა და ზვიად ქორიძეს. ამ სამი წამყვანის ქცევა გადაცემის დროს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე უმეტესად მოდერატორის როლს ასრულებენ და სტუმრებთან დიალოგს უძღვებიან. თავის შეხედულებებს აშკარად არ აფიქსირებს. ალეკო ელისაშვილი კი უფრო მეტად თავისუფალი მოსაუბრეა: ღიად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს და სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებს საკმაოდ თამამ შეფასებებს უკეთებს. იმ შემთხვევაში, როცა გადაცემას ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები სტუმრობენ, შესამჩნევია, რომ ალეკო ელისაშვილი მათ მოსაზრებებს ხშირად იზიარებს და ეთანხმება კიდეც.

მაგალითად, 5 სექტემბრის გადაცემაში, სადაც სტუმრად ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე იყო, საუბარი შეეხო კაზინოების თემას. ელისაშვილის რეპლიკა ამასთან დაკავშირებით: „შანგრილა და ჯანდაბა მაგას. ჯადო დაწესებულებაა, ჯადო და ეგ არის ასაღები აუცილებლად.“ (5 სექტემბერი)

5 სექტემბრის გადაცემაში ნათია ორველაშვილმა NDI-ის კვლევიდან გააჯღერა ერთ-ერთი კითხვა: ეთანხმებით თუ არა ვანო მერაბიშვილის პრემიერად დანიშვნის გადაწყვეტილებას და გაახმოვანა მიღებული პასუხებიც. აქ ელისაშვილი სიცილით და ირონიული ტონით აკეთებს შემდეგ რეპლიკას: „აი, ჯერ ვინ ეკითხება ხალხს, სამწუხაროდ, რომ ვანო მერაბიშვილის დანიშვნას ეთანხმება. ჰო, სულ ჩვენ გვკითხეს. ე.ი. გამოვიდა სააკაშვილი და უბან-უბან ჩამოიარა და რა ვქნათო, ეს ვანო მერაბიშვილი შემოგვაბერდა ამ შსს მინისტრადო და დავნიშნოთო. კარგითო, ვეთანხმებიო, ხალხმა უთხრა, მაღაროში უთხრა, ახალსოფელში უთხრა.“ (5 სექტემბერი)

6 სექტემბრის გადაცემაში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სლოგანებზე საუბრისას ალეკო ელისაშვილი ამბობს: „ჩვენთან მთავარია კუდი, სოდი, კაი გამრტყმელი, ჯანმრთელი ზონდერები და, ბოდიში მომითხოვია, და კოორდინატორები. აი, ეს თუ გყავს, სლოგანი თუ გინდა ‘მაგრად გაგხეთქავ ცემაში’ დაწერე.“

13 სექტემბრის გადაცემაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებაზე ელისაშვილი ამბობს: „რაღაცა ხიმანდრი და რაღაცა მაიმუნობა არი ამ ყველაფერში, არ ვიცი რაა. მინდა მჯეროდეს, მაგრამ, ჯერ-ჯერობით არც სიები იწვევს ნდობას, არც ეს კვლევები იწვევს ნდობას და დღეს პესიმისტურ ხასიათზე ვარ!“

27 სექტემბრის გადაცემაში ალექსანდრე ელისაშვილი ამბობს: „გუშინ კალაბის ჩანაწერი იყო, აი, სიტყვა-სიტყვით დამონტაჟებული ისე, რომ ინტონაცია იკარგებოდა. ამაზე დავდებ თავს, აი, 100%-ით დავდებ მაგაზე თავს.“ (27 სექტემბერი)

მონიტორინგის პერიოდში შეინიშნება ზოგი სტუმრის შემთხვევაში განსაკუთრებული კრიტიკა და აქტიურობა, ასევე მომთხოვნი და კრიტიკული შეკითხვები, ხოლო ზოგის მიმართ უფრო ნეიტრალური მიდგომა.

მაგალითად, 3 სექტემბრის გადაცემაში, სადაც წამყვანები ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე იყვნენ, სტუდიის სტუმრები რიგ-რიგობით იყვნენ ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი. მართალია, გადაცემის წამყვანებს თავიანთი პოზიცია და პირადი შეხედულებები აშკარად არ დაუფიქსირებიათ, მაგრამ მათი დამოკიდებულება ხარატიშვილის მისამართით დასმულ მწვავე და კრიტიკულ შეკითხვებში გამოიხატა. აშკარად გამოიკვეთა, რომ ისინი არ იზიარებდნენ ცესკოს თავმჯდომარის პოზიციას და მას საწინააღმდეგო არგუმენტებს უპირისპირებდნენ. ასეთ პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია ჩუგოშვილთან საუბრისას. წამყვანები საუბარსი ხშირად ერთვებიან ზურაბ ხარატიშვილს, დამატებით კითხვებს უსვამენ მას და საპირისპირო მოსაზრების მქონე არგუმენტებს უსახელებენ, ხოლო ჩუგოშვილისთვის მათ საუბარი არ შეუწყვეტინებიათ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უურნალისტებმა საკითხი მხოლოდ ერთი მიმართულებით და ცალსახად არ განიხილეს და მათ წარმაოდგინეს განსხვავებული შეხედულებების მქონე მხარეები.

წამყვანები ასევე აწყვეტინებდნენ საუბარს ერთიანი ნაციონალური მომრაობის წარმომადგენელ გიორგი კანდელაკს 13 სექტემბრის გადაცემაში მაშინ, როდესაც იგი საკუთარი პარტიის პრიორიტეტებზე ან კონკურენტი პარტიის ნაკლოვანებებზე

საუბრობდა და მიუთითებენ მას, რომ იმ ბრალდებებზე ესაუბრა, რაც მისი პარტიის მიმართ გაისმის.

განსხვავებული სურათია 26 სექტემბრის გადაცემაში, სადაც მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ სტუმრად. არც ალეკო ელისაშვილი და არც ნათია ორველაშვილი არ ერეოდნენ სტუმრების საუბარში, არ აწყვეტინებდნენ მათ სიტყვას და არც კითხვებით ეძიებოდნენ. მათ უბრალოდ დაუთმეს სტუმრებს ეთერი, რომ მათ ესაუბრათ მთავარ თემებზე საკუთარი პოზიციიდან.

ალეკო ელისაშვილის მიერ დასმული ერთ-ერთი კითხვის მაგალითი მაგდა პოპიაშვილის („არჩევანის თავისუფლებისთვის“) მიმართ: „მაგდა, რა პირი უჩანს, დარჩება ძალაში ეს დადგენილება ცესკოსი, თუ დავიტოვოთ პატიოსან არჩევნებზე მეოცნებეებმა ამ დადგენილების შეცვლის იმედი?“ (26 სექტემბერი)

„ცხელ ხაზში“ თემიდან გადახვევები არ ფიქსირდება. რაც შეეხება სიძულვილის ენისა და შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი გამონათქვამების გამოყენებას, წამყვანების მხრიდან მსგავსი რამ თვალში საცემი არ არის. თუმცა, ალეკო ელისაშვილი გამოირჩევა თავისი ირონიული ტონითა და გამოთქმებით.

წამყვანები ინფორმაციის გადმოცემისას ძირითადად წყაროს ასახელებენ. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ალეკო ელისაშვილი „გავრცელებულ ხმებს“ ეყრდნობა ან ინფორმაციას წყაროს დაუსახელებლად აწვდის მაყურებელს.

მაგალითად, 5 სექტემბრის გადაცემაში ელისაშვილი მიმართავს გიორგი თარგამაძეს ბანერებთან და გარე რეკლამასთან დაკავშირებით:

ინფორმაციის წყაროს ძირითადად ნათია ორველშვილი ასახელებს. ალეკო ელისაშვილი ნაკლებად. ის უფრო მეტად საკუთარ მოსაზრებებს და ხშირ

შემთხვევაში გავრცელებულ „ხმებს“ ეყრდნობა. მაგალითად: „თბილისში ბანერების და გარე რეკლამის მონოპოლისტი არის, ნუ შეგიძლიათ, მითხრათ, საიდან იციო, მაგრამ ცნობილი ამბავია: კეზერაშვილი უგულავა, ...კომპანია, რომელსაც აქვს მოკლედ მთელი მონოპოლია გარე რეკლამის. ქართული ოცნება არ გააჭაჭანეს ამ გარე რეკლამაზე, არსად არ არის. სულ ‘მეტი სარგებელი ხალხს’ იკითხება და გამოჩნდა თქვენი ბანერები. როგორ მომებნეთ საერთო ენა ამ ხალხთან, რატომ არის თქვენთვის ხელმისაწვდომი ეს და არ არის დანარჩენი არავისთვის იმიტომ, რომ ბანერები თბილისში სხვა არავისი მინახავს; იმიტომ, რომ ეს არის კეზერაშვილის კომპანია და უგულავას კომპანია. ნუ ეს ვიცით.“

19 სექტემბრის გადაცემაში ელისაშვილი ამბობს: „ვინ უნდა გამოიძიოს ბაჩო ახალაია, ყველამ ვიცით, რომ შედიოდა და პირადად აწამებდა პატიმრებს და არის ინფორმაცია, რომ ღამლამობით მთვრალი მიდიოდა...“

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა სამი გადაცემა. ესენია: „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“. სამივე თოქშოუ ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მყოფ არც ერთ თოქშოუში არც ერთი სტუმარი ყოფილა მთავრობისა და მმართველი გუნდის წარმომადგენელი. სამივე შემთხვევაში სტუმრები ძირითადად ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ადამიანები არიან. შესაბამისად, თემების უმეტესობა ტენდენციურად არის შერჩეული და ძირითადად პრეზიდენტის, მმართველი გუნდისა და მთავრობის უარყოფით კონტექსტში განხილვას ეთმობა.

გოგი ახალკახისა და ვასილ მაღლაფერიძისგან განსხვავებით, უკა ბერიძე ძალიან იშვიათად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას გადაცემაში. მისი კითხვები საკმაოდ მომთხოვნია და ამომწურავად მოიცავს განსახილველ თემას. ყველაზე ხშირად თავის აზრს გადაცემაში ვასილ მაღლაფერიძე აფიქსირებს, რომელსაც ხშირად ირონია და ცინიზმი გასდევს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. ამასთან იგი არ ცდილობს ოპონირება გაუწიოს სტუმრებს. მოწვეულ სტუმრებთან საუბრისას ახალკაცი აშკარად არ აფიქსირებს თავის პოზიციას. თუმცა, მის რიტორიკულ კითხვებსა და სტუმრის ნათქვამზე რეაგირებაში მისი დამოკიდებულება ჩანს. აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად თვალში საცემია თოქშოუს წამყვანის გახშირებული უფრო თამამი შეფასებები არსებული ხელისუფლების მიმართ. უნდა ითქვას, რომ ახალკაცი ხშირად ეძიება სტუმრებს კითხვით, რათა უფრო კონკრეტული პასუხი მიიღოს. გადაცემის დასაწყისსა და ბოლოში გოგი ახალკაცს აქვს რამდენიმე წუთიანი მონოლოგი (რემარკა და დღის სიტყვა), რომლის დროსაც უფრო მეტად იკვეთება წამყვანის პოზიცია და ხშირად იგრძნობა ირონია.

„ახალკაცის მატრიცა“

„მატრიცა“ მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 7 საათზე და მისი წამყვანია გოგი ახალკაცი. მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) მეცხრე არხზე „მატრიცას“ სულ 20 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 40 წუთი გაგრძელდა.

მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები, ამორჩეველთა მოსყიდვა, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები),
- კოალიცია ქართული ოცნება და ბიძინა ივანიშვილი,
- დისკრიმინაცია პოლიტიკური ნიშნით,
- ლოპოტას სპეცოპერაცია,
- მედია (“Must Carry”, მედიის როლი არჩევნებში),
- პრეზიდენტი,
- სავალდებულო სამხედრო გაწვევა,
- პატიმართა წამება ციხეებში და ახალგაზრდების დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით,
- ქართველი ემიგრანტების აქცია,
- ხელისუფლების დამოკიდებულება საპატრიარქოს მიმართ,
- ცვლილებები მთავრობაში (ბაზო ახალაიას გადადგომა, ეკა ზღულაძის და გიორგი ტუღუშის დანიშვნა მინისტრებად),
- კომპრომატები და წინასაარჩევნოდ გამოქვეყნებული ვიდეოები,
- საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.

”მატრიცას“ რამდენიმე გადაცემა დაეთმო მონიტორინგის პერიოდში მომხდარ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას - ციხეებში პატიმრების წამებას. 19, 20, 24 და 25 სექტემბრის გადაცემების დროის დიდი ნაწილი ამ ფაქტს მიეძღვნა. ხოლო, 21 სექტემბრის გადაცემა მთლიანად ამასთან დაკავშირებულ სამთავრობო ცვლილებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ამ საკითხისადმი დამოკიდებულებას შეეხო.

ჩვეულებრივ, „მატრიცა“ ორ-სამ ნაწილადაა დაყოფილი, რომელიც ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება და თითოეულში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი. გადაცემაში ნაკლებად შეიმჩნევა სტუმრების მრავალფეროვნება. სექტემბერში გასულ

არცერთ გადაცემაში არაა წარმოდგენილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა თუ ადგილობრივი ხელისუფლება. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია სექტემბრის მეორე ნახევარში გავრცელებული პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო მასალის შემდეგ. ასევე, არ არის სრულად წარმოდგენილი ოპოზიცია, რადგან მოწვეული სტუმრების უმეტესობა კოალიცია ქართულ ოცნებას მიეკუთვნება. მხოლოდ ერთხელ სტუმრობდა გადაცემას ჯონდი ბალათურია (ქართული დასი). "მატრიცას" დანარჩენი სტუმრები იყვნენ ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები, მედიის წარმომადგენლები, ემიგრანტები, ახალგაზრდული სტუდენტური ორგანიზაცია "ნარინჯისფერი კლუბი"-ს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემაში ძირითადად ყოველთვის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად და უარყოფითად განწყობილი სტუმრები არიან მიწვეული საპირისპირო აზრის დაფიქსირება ძალიან იშვიათია. არც წამყვანი გამოირჩევა კრიტიკულობით. ხშირად, როგორც ვერბალურად ისე არავერბალურად, ჩანს მისი სოლიდარობა სტუმრების მიერ გამოთქმულ აზრების მიმართ და ზოგადად დადებითი დამოკიდებულება თავად სტუმრის მიმართ. ჟურნალისტი მოწვეულ სტუმრებს აძლევს საშუალებას თავიანთი აზრი თავისუფლად დააფიქსირონ და ამასთანავე არ აწყვეტინებს საუბარს. ამასთან, გოგი ახალკაცი, თითქმის არასოდეს ცდილობს ორი მხარის წარმოჩენას, საკითხის ორი კუთხით დანახვას და პრობლემას მხოლოდ ერთი მიმართულებით განიხილავს. გადაცემის წამყვანი თავადაც არ ცდილობს სტუმრისათვის ოპონირების გაწევას. პირიქით, ეთანხმება გადაცემის სტუმრებს და იზიარებს მათ პოზიციას.

აქედან გამომდინარე, გადაცემები ძირითადად დინამიურია და ცხარე განხილვებისა და კამათის გარეშე მიმდინარეობს. ჟურნალისტი აქტიურობით არ გამოირჩევა. კითხვებს სვავს და ძირითადად, უსმენს სტუმრის მსჯელობას. მისი კითხვები

უმეტეს შემთხვევაში არ არის მომთხოვნი სტუმრების მიმართ. წამყვანი ძირითადად რაიმე მოვლენის შეფასებას სთხოვს სტუმრებს და უბრალოდ საუბრის მიმართულებას უთითებს. ხშირად სტუმრის მიერ გამოთქმულ აზრს თავადაც აგრძელებს. ხშირია კითხვები, რომლებშიც წამყვანის პოზიცია ადვილი შესამჩნევია.

მაგალითად, 6 სექტემბერს, როდესაც გადაცემაში სტუმრად იყო მაია ფანჯიკიძე (კოალიცია ქართული ოცნება) მან ისაუბრა ახალაიაების ოჯახზე და აღნიშნა, რომ ირაკლი ალასანიამ ამერიკელ სენატორებთან შეხვედრის დროს ამ საკითხზეც ისაუბრა. გოგი ახალკაცი მას ღიმილით ჩაეკითხა:

„და რომ ეს არის ოჯახი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ახალი საქართველოს ჩამოყალიბებაში ეს თუ უთხარით?“ (6 სექტემბერი)

აქვე აღსანიშნავია, 18 სექტემბრის გადაცემა, როდესაც მას სტუმრად ჰყავდა ქართველი ძალოსანი გია მაჭავარიანი. ახალკაცმა სცადა მისთვის შედარებით კრიტიკული კითხვა დაესვა: „თუმცა, თითქოს ეხლა სპორტის თვალსაზრისით ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ, რომ უყურადღებოები არიან, ხო? რაღაცას აკეთებენ, დარბაზებიც იხსნება, ოლიმპიადაზეც გუნდი გვყავს. მათ შორის თქვენ, ხო? ოლიმპიადის მონაწილე ბრძანდებით. მაგრამ მაინც სულ უკმაყოფილება არის სპორტსმენების მხრიდან. ძალიან გახშირდა, რომ სპორტსმენები ლაპარაკობენ მომავალზე, რომელსაც უკავშირებენ „ქართულ ოცნებას“, რაღაცა არ არის აქ კარგად, რამე პიროვნული დაპირისპირება ხომ არ მოგივიდა სპორტის ხელმძღვანელობასთან?“

წამყვანი, ხშირად, გადაცემის დასაწყისში წარმოთქმულ მონოლოგშივე აფიქსირებს თავის პოზიციას, მართალია არა აშკარად, მაგრამ იგი აკეთებს ისეთ დასკვნებს, რომელიც არ წარმოადგენს არავის ციტატას, შესაბამისად ეს თავად წამყვანის ვარაუდები და შთაბეჭდილებებია.

„ქართული ოცნების გეგმიურ აქციას ხელისუფლებამ საკუთარი აქცია დაუპირისპირა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა ერქვა და ერთდროულად 11 ქალაქში იმართებოდა. ამ 11 ქალაქში შეკრებილ ადამიანებს კი პრეზიდენტი მიმართავდა და მისი მიმართვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი შესაძლოა ის იყო, რომ პრეზიდენტმა პირველად საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართული ოცნების“ „ნოუ ჰაუ“ გამოიყენა და ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. როგორც ჩანს, ეს მისი პასუხი არის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივაზე, რომ თუკი ეჭვი შეიქმნება, რომ არჩევნები გაყალბდა ის მოუწოდებს ყველა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერს ქუჩაში გამოვიდნენ და ასე გადათვალონ ისინი. ანუ პრეზიდენტმა სცადა „ქართული ოცნების“ ლიდერისთვის ეჩვენებინა, რომ მასაც არანაკლები ხალხი უჭერს მხარს. მეორეს მხრივ, ამ აქციით პრეზიდენტი იმავე თამაშში ჩაერთო, რომელსაც აქამდე უარყოფდა და ბიძინა ივანიშვილს ცოტა ქედმაღლურადაც კი უყურებდა და პრინციპში, მას თავის მოწინააღმდეგედ არ თვლიდა.“²⁴ სექტემბერი

არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად თვალში საცემია თოქშოუს წამყვანის გახშირებული უფრო თამამი შეფასებები არსებული ხელისუფლების მიმართ. უურნალისტი საკუთარ აზრს უფრო ხშირად აფიქსირებს და ამასთან ეს შეფასებები უფრო კრიტიკული და მწვავეა. ეს ძირითადად, პატიმრების წამების ამსახველი ვიდეო კადრების გამოქვეყნებას მოჰყვა.

მაგალითად 25 სექტემბრის გადაცემა გოგი ახალკაცმა ასე დაიწყო, თუმცა, იქვე ბოდიშიც მოიხადა:

„არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში მასიური დაპატიმრებები დაიწყო. იჭერენ ქართული ოცნების წევრებს, კომისიის წევრებს, უბრალოდ აქტივისტებს. მიზეზი პრაქტიკულად ყოველთვის ერთი და იგივეა: პოლიციისთვის

წინააღმდეგობა ან პოლიციის შეურაცხვოფა. ზოგადად, რას იმსახურებს ქართული პოლიცია იმ კადრების შემდეგ, რასაც ჩვენ გასული კვირის განმავლობაში ვუყურეთ რთული სათქმელია. შესაძლოა პოლიციის შეურაცხვოფა ამ შემთხვევაში გამართლებულიც კი იყოს. ბოდიშს ვიხდი ესეთი აზრის გამოთქმისთვის. მესმის, რომ პოლიცია გვიცავს. თუმცა, ის, რაც ვნახეთ ნაკლებად ტოვებს იმის იმედს, რომ პოლიცია მართლაც გვიცავს და ჩვენ გვემსახურება. როგორც აღმოჩნდა პოლიცია ხელს უწყობდა ჯალათებს, მათთვის ცოცხალი ხორცი მიჰქონდა ესე ვთქვათ და არ იძიებდა იმ დანაშაულებს, რომელიც ციხეში იყო. მათთვის არ იყო მნიშვნელოვანი გამოემიებინათ სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულებები. ისინი უბრალო მოქალაქეებს დასდევდნენ.”

27 სექტემბრის გადაცემა ტრადიციულად რემარკით დაიწყო. საუბარი იყო იმ გამოქვეყნებულ აუდიო ჩანაწერებზე, რომლებშიც კოალიცია ქართული ოცნების წევრები ერთმანეთს ლანდღავენ.

„თუმცა მერე რა? რას ნიშნავს ეს? გადაფარავს თუ არა ის რომ თინა ხიდაშელი და ირაკლი ღარიბაშვილი ერთმანეთთან ცუდ ურთიერთობაში არიან და ერთმანეთს დედას აგინებენ იმ ფაქტებს, რაც ჩვენ ვნახეთ ციხეში წამებასთან დაკავშირებით?... როგორც ჩანს, აქ მართლაც, როგორც ამბობენ, სისტემასთან გვაქვს საქმე. სისტემასთან, რომლის სათავეში შესაძლოა ბაჩო ახალაია დგას, შეიღება მიხეილ სააკაშვილი, შეიძლება ედუარდ შევარდნაძე. ეს არის ზუსტად გასარკვევი, ეს არის გამოსამიებელი. ხოლო ის, რომ კოალიციის წევრებს ერთმანეთი არ მოსწონთ ან რაღაც პრობლემები აქვთ ერთმანეთთან ან უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებენ ერთმანეთს, რეალობაში არა უარყოფითი არამედ დადებითი თვისებაა, მონოლითური ხელისუფლება ჩვენ უკვე გვყავს, სადამდე მივედით ამასაც ყველა კარგად ხედავთ...“

ახალკაცი თავის მოსაზრებებს სხვადასხვა ადამიანების, პოლიტიკური ფიგურებისა და სხვა ტელეკომპანიების მიმართაც აფიქსირებს.

მაგალითად 21 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა აღნიშნა, რომ ეკა ზღულაძესთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და მასზე მხოლოდ კარგის თქმა შეუძლია. თუმცა მას შემდეგ რაც მინისტრობას დასთანხმდა წასრმოდგენა შეეცვალა.

„ბაჩო ახალაიას გადადგომამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს მთავრობაში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც მისი მოადგილე ეკა ზღულაძე არ არის ის ადამიანი რომელსაც შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაბარდეს... ჩემი აზრით, ესეთი ადამიანები, როგორიც ეკაა, ესეთ თანამდებობებზე არ უნდა მიდიოდნენ...“

„...მემგონი ყველა პატიმარი უნდა გამოუშვან, იმიტომ რომ უკვე აღმოჩნდა რომ ისინი ისეთ წნებში იყვნენ რომ ეს ციხე აღარ არის.“ (21 სექტემბერი)

„ჩემი პირადი თხოვნა მაქვს პოლიციის მიმართ რომ სანამ არ გაირკვევა ყველაფერი რაც საქართველოს ციხეებში ხდებოდა, უბრალოდ არავინ არ დაიჭირონ. იმიტომ რომ, იფიქრონ იმაზე, რომ ისინი დამნაშავეს საკადრისი სასჯელისთვის კი არ წირავენ, არამედ ამისთვის წირავენ ესე ვთქვათ რა... სტუდენტებს, რომლებიც თავიანთ საპროტესტო აქციაში მონაწილეობენ ხულიგნობის მუხლით ნუ დაიჭირენ და ნუ გააგზავნიან იქ. ციხე კი არა ჯოჯოხეთი ყოფილა.“ (21 სექტემბერი)

25 სექტემბერს თავის ერთ-ერთ სტუმარს, ია მამალაძეს, (რეგიონული მედიის ასოციაციის თავმჯდომარე) ჰკითხა ოპოზიციის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ ჩანაწერების შესახებ: „რა აზრის ხართ იმ ვიდეო მასალაზე, რაც ცოტა ხნის წინ რუსთავი2-მა აჩვენა?“. ია მამალაძემ კითხვითვე უპასუხა: „თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? იგივეს გკითხავთ“. გოგი ახალკაცი ღიმილით პასუხობს: „მე, სიმართლე გითხრათ, ერთი რამე გავიგე, რომ რუსთავი2-მა გადაწყვიტა, რომ არ იყოს მხოლოდ

საქართველოს შსს-ს პრესცენტრი და გაუჩნდა სურვილი საფრანგეთის ჟანდარმერიის პრესცენტრის ფუნქციაც შეითავსოს. ეს შთაბეჭდილება დამრჩა.”

რაც შეეხება სიძულვილის ენას, „მატრიცა“-ში ასეთი შემთხვევები ფაქტიურად არ გვხვდება. ასეთი იშვიათი შემთხვევა 19 სექტემბერს გასულ გადაცემაში დაფიქსირდა: „ეს, რაც ხდებოდა პენიტენციურ სისტემაში, ისედაც უნდა სცოდნოდა შინაგან საქმეთა მინისტრს და თუ არ იცოდა, ბრიყვია მინიმუმ“.

მიუხედავად იმისა, რომ თოქშოუს წამყვანი თითქმის არასოდეს უწევს ოპონირებას სტუმრებს და მოწვეული სტუმრებსაც თითქმის ყოველთვის ერთნაირი შეხედულებები აქვთ პოლიტიკურ საკითხებზე, წამყვანი ხშირად ცდილობს ჩაკითხვის გზით დააზუსტოს სტუმრის მიერ დაფიქსირებული აზრი და უფრო კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდოს მაყურებელს.

„მოდით ჩვენც მოგვიყევით, ასე კონკრეტული ფაქტებით განვიხილოთ, ყოველთვის უფრო საინტერესოა ვიდრე ზოგადი მსჯელობა. კონკრეტულად რა იწვევს შეფასებას „მძიმე“? რაღაცა განსხვავებულია წინასაარჩევნო ციკლებისთვის წელს?“ (4 სექტემბერი)

„როდესაც ვსაუბრობთ ზეწოლაზე, მოდით, ერთი-ორი კონკრეტული მაგალითი, რა იგულისხმება სიტყვაში „ზეწოლა?“ (4 სექტემბერი)

„რაში გამოიხატება, რითი გრძნობთ, რომ, ვთქვათ, რაღაც ძალა ცდილობს ამის ჩაშლას, აი კონკრეტულად რითი გრძნობთ?“ (10 სექტემბერი)

„სიტყვა უამრავი მე არ მიყვარს. მე მათემატიკოსი ვარ განათლებით. უამრავი არაფერს არ ნიშნავს. რამდენი მაშინ? უამრავი მასწავლებელი საქართველოში არ არის, მათი დათვლა შესაძლებელია. 100-ზე მეტი? 500-ზე მეტი?“ (26 სექტემბერი)

„კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძეთან“

„კონსილიუმი“ მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათზე და მისი წამყვანია ვასილ მაღლაფერიძე. ჩვეულებრივ, „კონსილიუმის“ სტუდიაში ორი სტუმარი ერთადაა წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში (3-28 სექტემბერი) მეცხრე არხზე „მთავარი კითხვის“ სულ 19 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 45 წუთს გრძელდებოდა.

მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები ეხებოდა ისეთ საკითხებსა და სუბიექტებს, როგორიცაა:

- არჩევნები (არჩევნების ეგზიტპოლი და პარალელური დათვლა),
- ქართული სპორტი,
- თეთრი და შავი პოლიტიკური პიარი,
- პოლიტიკა ქართულ შოუ-ბიზნესში,
- ეთნიკური უმცირესობები,
- პოლიტიკური პარტიები,
- სოციოლოგიური კვლევები,
- კლასობრივი დაყოფა და ბრძოლა საქართველოში,
- გოგა ხაინდრავას ფილმი „დემოკრატიის შუქურა“,
- პატიმართა წამება ციხეებში (პოლიტიკური პასუხისმგებლობა),
- სტუდენტური პროტესტი და სხვა.

18-26 სექტემბრის გადაცემების დიდი ნაწილი დაეთმო პატიმრების ციხეში წამებას და ამ ფაქტან დაკავშირებულ საკითხებს: სტუნდეტურ პროტესტს, ხელისუფლების ქმედებების შეფასება ციხეების მასალების გამოქვეყნების შემდეგ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 19 სექტემბრის გადაცემაში, რომელიც პატიმართა წამების თემას მიეძღვნა, მსგავსი გადაცემებისგან განსხვავებით, არ გაუშვეს წამების ამსახველი ფაქტების ვიდეო მასალა. მაღლაფერიძემ აღნიშნა, რომ აღარ იყო საჭირო კიდევ ერთხელ ამ ვიდეოების გამეორება. გადაცემის მსვლელობისას ეკრანზე ეწერებოდა ტიტრები: „ნაციონალური“ წამება; ცოცხაყრილი დემოკრატია; სახელმწიფო დეპუმანიზაცია, საიდანაც ჩანდა გადაცემის ავტორების პოზიცია.

რაც შეეხება „კონსილიუმში“ მოწვეულ სტუმრებს, მონიტორინგის პერიოდში ძირითადად ესენი იყვნენ ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, სპორტსმენები, ყოფილი პატიმრები და სხვა. წამყვანის თქმით, მისი გადაცემა ეხება საუბარს „პოლიტიკაზე პოლიტიკოსების გარეშე“. თუმცა, კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები უფრო ხშირად სტუმრობდნენ გადაცემას, ვიდრე რომელიმე სხვა ოპოზიციური ძალა. ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიდან მხოლოდ კოკა გუნცაძე იყო გადაცემაში ამომრჩეველთა ლიგიდან. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში „კონსილიუმს“ არ ჰყავდა სტუმრად არც მთავრობის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ან მმართველი გუნდის წარმომადგენელი და არც ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანი.

ურნალისტი აქტიურადაა გადაცემაში ჩართული, ხშირად სვამს კითხვებს სტუმრების მისამართით და წარმართავს საუბარს მთავარი თემების ირგვლივ. თუმცა, ასევე ხშირად აფიქსირებს თავის მოსაზრებას. ყველა შეკითხვას, რომელსაც ვასილ მაღლაფერიძე სვავს, უკეთებს რამდენიმე წუთიან შესავალს, სადაც ჩანს მისი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე და მისი არალოიალური განწყობა ხელისუფლების მიმართ. ამასთან, საკუთარ პოზიციასა და დამოკიდებულებას წამყვანი უფრო მეტად საუბრის ირონიული და ზოგჯერ დამცინავი ინტონაციით

ამჟღავნებს. კითხვის დასმის დროს იგი ხშირად ირონიის შემცველ ინტონაციას იყენებს, რაც აშკარას ხდის მის პოზიციას.

მაგალითები:

6 სექტემბრის გადაცემაში მაღლაფერიძე ამბობს: „ხელისუფლებისთვის არ არის ეს მაინცდამაინც პოპულარული თემა. მას აქვს თვითმმართველობის სისტემა, რაც აქვს, ეს არის ცენტრალიზებული. შეიძლება ფორმალურად უერთდება რაღაც გარკვეულ ქარტიებს და ხელშეკრულებებს ევროპაში, მაგრამ, ნუ, ჩვენ მაინც ვიცით, რომ ხელისუფლებისთვის მართვის იდეალი სინგაპურიცაზიაა, რომელიც მკაცრად ცენტრალიზებულ მოდელს გულისხმობს.“

13 სექტემბრის გადაცემაში საუბრის მთავარი თემა იყო კლასობრივი დაყოფა და ბრძოლა საქართველოში, რაც პრეზიდენტის ერთ-ერთ გამონათქვამზე იყო აგებული. მთელი გადაცემის მანძილზე საუბრისას ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა წარწერები: სრული სვლით წარსულისკენ, კლასობრივი ბრძოლა ლენინურად, უკვდავი ფარისევლობა, გააქრე და იბატონე. გადაცემის მსვლელობისას წამყვანი ამბობს: „გრძელდება კონსილიუმი და ჩვენ ვსაუბრობთ იმ კლასობრივ ბრძოლაზე, რომელიც ხელისუფლებას ჰგონია, რომ მიდის საქართველოში და ყოველ შემთხვევაში ნამდვილად სურს, რომ უნდა მიდიოდეს. და აღიქვამს ქართულ საზოგადოებას ორ კლასად და რაღაცნაირად ნეომარქესისტულ თუ ძველმარქესისტულ რეალობაში მიჰყავს ქვეყანა შეგნებულად თუ შეუგნებლად. თითქოს საგანგებო სცენარით ერთი ერთზე იმეორებს.“

21 სექტემბრის გადაცემაში სტუმართან საუბრისას მაღლაფერიძე ამბობს: „ჩვენ ხომ ვართ ევროპაში საუკეთესო, მსოფლიოში უსაფრთხო, ჩვენ ხომ ვართ ყველაზე

მაღალი ცათამბრჯენების... არაშენებულ ცათამბრჯენებში ყველაზე მაღალი ცათამბრჯენები გვაქვს.”

26 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი ამბობს „გამორიცხულია მარტო ციხე გამოსწორდეს და პროკურატურაში დარჩნენ იგივე... წარმოიდგინე სტალინის დროს რო დაწყებულიყო ჩამოშლა და ეთქვა, რო მე დავრჩები, იოსებ ბესარიონის მე და ბერია, ოღონდ მლიანად გამოვცვლით სისტემას და აღარაფერი აღარ იქნება.“

უურნალისტსა და გადაცემის სტუმრებს არ გააჩნიათ პრინციპულად განსხვავებული პოზიცია. გადაცემაში არ არის წარმოდგენილი სახელისუფლებო პოზიცია. შესაბამისად, წამყვანის კითხვები სტუმრების მიმართ ლმობიერია და არ არის კრიტიკული. იშვიათია ჩაძიების შემთხვევები და, მიუხედავად იმისა, რომ მაღლაფერიმე დისკუსიაში აქტიურადაა ჩართული, იგი არ ცდილობს, ოპონირება გაუწიოს სტუმრებს. ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ წამყვანის მიერ დასმული კითხვები სტუმრის პოზიციის დადებით კონტექსტში წარმოჩენას ემსახურება.

სიძულვილის ენა ან შეურაცხმყოფელი/დამამცირებელი გამოთქმები წამყვანის მხრიდან თითქმის არ ფიქსირდება. თუმცა, დაფიქსირდა სტუმრის მხრიდან დამამცირებელი სიტყვების გამოყენება პრემიერმინისტრის მიმართ (14 სექტემბრის გადაცემა, სტუმარი: გოგა ხაინდრავა), რაზეც წამყვანს რეაქცია არ ჰქონია.

„კონსილიუმი“ უმეტესად მიყვება წინასწარ გამოცხადებულ თემებს და სტუმრებიც რელევანტურად ჰყავს შერჩეული. თუმცა, იყო შემთხვევები (მაგ. 7 სექტემბრის გადაცემა), სადაც წამყვანმა თემას გადაუხვია. რაც შეეხება წამყვანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის წყაროს დასახელებას, ძირითადად ინფორმაციის წყარო სახელდება. თუმცა, იყო გამონაკლისი შემთხვევები (მაგ. 10 სექტემბრის გადაცემა), როცა წამყვანმა „გავრცელებულ ინფორმაციაზე“ დაყრდნობით ისაუბრა და არ დაუსახელებია კონკრეტულად ინფორმაციის წყარო.

„ეკა ბერიძის მთავარი კითხვა”

„მთავარი კითხვა” მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 10 საათზე და მისი წამყვანია ეკა ბერიძე. ჩვეულებრივ, „მთავარი კითხვა” ორ-სამ ნაწილადაა გაყოფილი, ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება და თითოეულში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში მეცხრე არხზე „მთავარი კითხვის” სულ 20 გადაცემა გავიდა. თითოეული გადაცემა საშუალოდ 1 საათს გაგრძელდა.

მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემები, ძირითადად, შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემო, კამპანია და შეფასებები),
- ლაფანყურის სპეციალისტი,
- ეკლესია და პოლიტიკა,
- საერთაშორისო ორგანიზაციები,
- NDI-ის კვლევის შეფასება,
- ემიგრანტების მონაწილეობა არჩევნებში,
- მედია,
- კოალიცია ქართული ოცნება,
- ციხეში პატიმრების წამება,
- სტუდენტური პროტესტი წამების წინააღმდეგ,
- არჩევნების დღეს ფოტო-ვიდეოგადაღების შეზღუდვა,
- ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების შეფასებები და სხვა.

18 სექტემბრიდან მოყოლებული პატიმრების წამების თემა აქტუალური იყო „მთავარ კითხვაში”. ამ ფაქტს შეეხო 18-25 სექტემბრის გადაცემები სხვადასხვა კუთხით.

მაგალითად, წამების შეფასებები, ციხეში არსებული მდგომარეობა ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს, საერთაშორისო გამოხმაურება, საზოგადოების რეაქცია, სტუდენტური პროტესტები, პატიმრების მდგომარეობა, სიტუაცია ციხეებში და სხვა.

3-28 სექტემბრის პერიოდში გასულ „მთავარი კითხვის“ არცერთ გადაცემაში არაა წარმოდგენილი მმართველი გუნდი, მთავრობა თუ ადგილობრივი ხელისუფლება. ასევე, არ არის სრულად წარმოდგენილი ოპოზიციაც, რადგან მოწვეული სტუმრების დიდი უმეტესობა კოალიცია ქართულ ოცნებას მიეკუთვნებოდა და მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდა სტუდიაში გოგა ხაინდრავა (ამომრჩეველთა ლიგა) და ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის). გადაცემის სტუმრები ასევე იყვნენ: ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები, მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა.

„მთავარი კითხვა“ დროულად ეხმიანება აქტუალურ საკითხებს და წამყვანი ცდილობს, ყველა მნიშვნელოვანი კითხვა დასვას, რაც მოცემულ თემასთან დაკავშირებით არსებობს. სტუმრებს აცდის აზრის გამოთქმას და თვითონ ძირითადად მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლება. ხშირ შემთხვევაში ეკა ბერიძე სტუმრებს ოპონირებასაც უწევს. თუმცა, ზოგჯერ შეინიშნება, რომ იმ შემთხვევებში, როცა გადაცემაში ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები არიან სტუმრად, ხშირად კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელი ან მხარდაჭერი პირები, ურნალისტის კითხვები არ არის ისეთი მომთხოვნი, როგორც სხვა სტუმრების შემთხვევაში. მაგალითად, NDI-ის დირექტორის ლუის ნავაროს მიმართ 7 სექტემბრის გადაცემაში და ცესკოს თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის მიმართ და ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ფილიპ დიმიტროვის მიმართ 25 სექტემბრის

გადაცემაში წამყვანის კითხვები განსაკუთრებით მომთხოვნი და კრიტიკული იყო. ასეთ დროს რიგ შეკითხვებში წამყვანის პოზიციაც ჩანდა.

7 სექტემბრის გადაცემაში ეკა ბერიძე ლუის ნავაროსთან NDI-ის კვლევების შესახებ საუბრობს. მის კითხვებში და კითხვის დასმის ინტონაციაში იგრძნობა სკეპტიკური დამოკიდებულება და, ზოგჯერ, სარკაზმიც. ქვემოთ მოცემულია წამყვანის კითხვების რამდენიმე მაგალითი ამ გადაცემიდან:

„თქვენ, ალბათ, გსმენიათ იმის შესახებ, რომ საქართველოში დღეს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური მოტივით ათავისუფლებენ სამსახურიდან, ზოგჯერ იჭერენ კიდეც. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში თქვენი რესპონდენტები გულწრფელები არიან? როდესაც, მაგალითად, უნდა გასცენ პასუხი, თუ, მაგალითად, ვის მისცემენ, რომელ პოლიტიკურ ძალას, ხმას ან რომელ პოლიტიკურ ლიდერს დაუჭერენ მხარს.”

„ბატონო ლუის, რა ლოგიკას ეყრდნობით, როდესაც ამბობთ, რომ თუ ადამიანმა სახლში შეუშვა ინტერვიუერი, აუცილებლად ყველა კითხვაზე გასცემს მას გულწრფელ პასუხს. რომელ ლოგიკას ან ფსიქოლოგიას ეყრდნობით, როდესაც ამას მეუბნებით?”

„თქვენი მიზანი ხომ არის მაქსიმალურად გულწრფელი პასუხების მიღება. როდის უფრო გულწრფელია რესპონდენტი ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობს პოლიტიკური ზეწოლა. როცა ის იდენტიფიცირებულია და ისე აძლევს პასუხს შეკითხვაზე, ვის მისცემს ხმას, თუ მაშინ, როდესაც ის ფარულად იძლევა, თუნდაც დახურული კონვერტით, პასუხს ამის შესახებ. ძალიან კონკრეტულად მიპასუხეთ ოღონდაც: როდის უფრო გულწრფელია კორესპონდენტი პოლიტიკური ზეწოლის არსებობის პირობებში ქვეყანაში.”

იგივე გადაცემაში ლუის ნავაროს შემდეგ ისაუბრა ფრანგმა ჟურნალისტმა და პრესის უფლებების დამცველმა რობერ მენარმა. ჟურნალისტი ძირითადად მოდერატორის როლს ასრულებდა მასთან საუბრისას, თუმცა აშკარა იყო ჟურნალისტის კეთილგანწყობა სტუმრის მიმართ. მისი საუბრის ტონიც და კითხვებიც ამას გამოხატავდა. კითხვები ძალიან ლმობიერი იყო და ცხადი იყო, რომ ეკა ბერიძე იზიარებს რობერ მენარის შეფასებებს. ის არ უწევს ოპონირებას სტუმარს განსხვავებული პოზიციიდან.

25 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილთან საუბრისას ეკა ბერიძე სვავს მწვავე შეკითხვებს: „გამჭვირვალობის მთავარი გარანტია უნდა ყოფილიყო ის, რომ შეუზღუდავი იქნებოდა ვიდეო გადაღება, ბატონო ზურაბ, ამის შესახებ თქვენ რამდენიმე თვის წინ მედია ასოციაციასთანაც გააფორმეთ საზეიმოდ მემორანდუმი. ეს მემორანდუმიც დარღვეულია დღეს და დარღვეულია თქვენი მთავარი ლოზუნგი, რომ გამჭვირვალობას მოაქვს ნდობა. 10 წუთიანი დროითი შეზღუდვა და შემდეგ თქვენს მიერ მითითებული ვიდეო გადაღება, ნიშნავს თუ არა შეზღუდვას?“

„მაშინ საარჩევნო კოდექსზე მუშაობის დროს, ბატონო ზურაბ, როდესაც ჩაიწერა მუხლები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემუშავა მედიას საარჩევნო უბანზე, რატომ არ ჩაიწერა ეს დეტალები მაშინ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაუსვეს შეკითხვა უმრავლესობის წარმომადგენლებს იყო თუ არა მოსალოდნელი, რომ რაიმე კორექტირება შესულიყო მედიის მუშაობასთან დაკავშირებით საარჩევნო უბნებზე. პასუხი იყო ცალსახა, „არა“. თქვენ კი ამ დადგენილებას იღებთ 25 სექტემბერს, მაშინ, როდესაც არის საარჩევნო პერიოდის მიწურული და დადგენილების მიღების უფლება ცესკოს აქვს 27 სექტემბრამდე. მითხარით, რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება.“ ამ შეკითხვას ამომწურავი პასუხის არ მიღების გამო უმეორებს მეორეჯერაც.

25 სექტემბრის გადაცემაში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ფილიპ დიმიტროვს „მთავარი კითხვის“ წამყვანმა საკმაო წინააღმდეგობა და ოპონირება გაუწია. მის წინააღმდეგობაში გარკვეულწილად მისი პოზიციაც გამოჩნდა. ეკა ბერიძე: „სწორედ ეს არის ქართველი ახალგაზრდების მთავარი მიზანი, რომ მშვიდობიანად მივიდნენ არჩევნებამდე და მათი პროტესტი არის ხაზგასმულად მშვიდობიანი. მაშინ, როდესაც მე მინახავს ევროპის დიდ ქალაქებში, მაგალითად, პარიზში, რამდენად აგრესიულად გამოხატავდნენ ხოლმე პროტესტს. ქართველი ახალგაზრდებისგან არ ყოფილა პროტესტის არანაირი გამოხატულება. თუმცა, მიუხედავად ამისა, დღეისათვის არიან დაკავებული მათი აქტივისტები, დაჩი ცაგურია, დავით ფაცაცია, კიდევ 2 ახალგაზრდა. გუშინ საღამოს დააკავეს სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ცაგარელი, რომელიც დღეს გამოუშვეს მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ გამოხატა საკმაოდ დიდი პროტესტი. როგორ ფიქრობთ, ის რომ აკავებენ ახალგაზრდებს, არის თუ არა დემოკრატიული რეაქცია ხელისუფლების მხრიდან?“

ამავე დროს, მაგალითად, როცა ქართული ოცნების წარმომადგენელი შალვა შავგულიძე ჰყავდა სტუმრად 20 სექტემბრის გადაცემაში და პატიმართა წამების ფაქტებსა და გავრცელებულ ვიდეოებზე საუბრობდნენ, ეკა ბერიძეს არ უკითხავს მისთვის ქართული ოცნების ამ ვიდეოებთან შესაძლო კავშირის შესახებ.

წამყვანი ასევე არ გამოირჩეოდა მწვავე კითხვებით 26 სექტემბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრედ გუბაზ სანიკიძე ჰყავდა. მისი თითქმის ყველა შეკითხვა იწყებოდა სიტყვებით: „როგორ ფიქრობთ...“

„მთავარ კითხვაში“ თემიდან აცდენა არ ფიქსირდება და სტუმრებიც თემასთან რელევანტურები არიან. წამყვანის მიმიკასა და უსტებში უმეტესად არ იკვეთება მიკერძოებულობა. სხვადასხვა თემაზე საუბრისას ეკა ბერიძე წყაროს ხშირად

უთითებს. თუკი რაიმე ინფორმაცია გადამოწმებისა და დადასტურების გარეშე აქვს, აღნიშნავს, რომ არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია. გადაცემის წამყვანი არ იყენებს სიძულვილის ენას ან დამამცირებელ გამოთქმებს. სტუმრების მხრიდანაც თითქმის არ ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები.

მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ ერთხელ, 26 სექტემბრის გადაცემაში გამოიყენეს სიძულვილის ენა. გუბაზ სანიკიძემ სააკაშვილს რამდენჯერმე უწოდა „შიზოფრენიკი“, ნაციონალური მოძრაობის მომხრეებს „პრიმატები“. იმავე გადაცემაში გოგა ხაინდრავამ სააკაშვილს უწოდა „კრიმინალი, ავადმყოფი, ნარკომანი“. თუმცა, უურნალისტს არც ერთ ასეთ შემთხვევაზე რეაქცია არ ჰქონია.